№ 31

შაბათი, 19 მარტი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. 50 კაპ., თვეში 1 მანეთი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათ.-მდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверiа“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

1877—1905

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 31

შაბათი, 19 მარტი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედ. საზ.-ბის სახლში.

ტელეფონი № 922.

საჯარო ბიბლიოთეკა

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1905 წ. გამოდის ყოველ-დღე, ორშაბათობითაც.

წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: **„ივერიის ბიბლიოთეკა“**, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები**.

გაზეთის ფასი: 1 მარტიდან წლის დამლევამდის 8 მან., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.

რედაქცია იმყოფება პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედიტო საზოგადოების სახლში (მესამე სართულში).

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакцiя газ. „Иверiа“.

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი ამით აუწყებს გუბერნიის თავად-აზნაურთ, რომ ხუთშაბათს, 31 მარტს, დილის 11 საათზე, თავ. ქობულაშვილის სახლში (გრიბოედოვის ქუჩა. არშაკუნისეული სახლი), მოჰხდება ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა

საგანგებო კრება.

განსახილველი საგნები კრებისა:

1) უქვეშევრდომილეს ადრესის მირთმევა **მის იმპერატორებით უდიდებულესობის, ხელმწიფე იმპერატორისთვის.**

2) განხილვა და შემუშავება ღონისძიებათა ტფილისის გუბერნიის მიწათ-მოქმედთა დასამშვიდებლად. (3—6—1)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. ვედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჯიჯინაძე. კბილის—8—9 საათ.

გ. გ. მაღალაშვილი. შინაგანი. ოთხშაბ. 9—10 საათამდე და კვირაობით 9—11 საათ.

ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა 9½—10½ ს.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, სასისა და ცხვ. 10—11.

ვ. დ. ღამბაშიძე.—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგ. და ბავშვ. 12—1 ს.

დ. ა. ვედევანიშვილი.—შინაგანი და ნერვებისა 12—1 ს.

ექ. ქალი მ. ქ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ქ. ნ. დიასამიძე. — ვენერიული და კანისა 12½ 1½ საათ.

ს. ს. ალექსი-მესხიშვილი.—ხირურგია 1—2.

ს ა ღ ა მ ო ს:

ს. ი. ვაჩაძე.—შინაგ. 6—7 საათამდე.

ოპერაციების გაკეთება შეუძლიათ გარეშე ქიმ-ხირურგებსაც.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით, კრავატები დღეში ღირს 2-დან სამ მანათამდე. საზოგადო და ნომერი—5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა (კუკიის ხიდდან მეცხრე სახლი), სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

ტელეფონი № 274.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

მ. უ ჩიქოვანი —9 საათიდან 10 საათამდე—თვალის შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაგანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ზ. ა. თარხანოვი—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. გ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ექიმი ქალი **ა. ი. შჩერბინინა**—1½—2 საათ.—ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

პ. ა. არდაზიანი—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულ გამოკვლევას, 5—7 საათ.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს, (მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ქ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра Навасардiана. Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და სალამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტუშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან სალამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე, იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი № 13.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კაროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათისა.

ვაჩაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18 —იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და სალამოთი 6—8-საათამდე.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 საათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლი № 157.

ახალი გადასახადი.

გამართლდა ის, რის შიში და მოლოდინიც, დიდი ხანია, გვქონდა. ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშავა ახალი პროექტი, რომლის ძალითაც კიდევ ახალი გადასახადები უნდა მოგვემატოს...

ვინ არ იცის, რა აუარებელი ხარჯები გამოიწვია იაპონიასთან ომმა, რომელიც რუსეთისთვის თავიდან ასე უბედურად მიმდინარეობს. ომის ველზე შორეულ მანჯურიაში დღეში ორ მილიონ მანათზე მეტი იხარჯება და ამის გამო გამოწვეული არა-ჩვეულებრივი ხარჯები სახელმწიფოსი ფრიად დიდია. ცხადია, ამდენ ფულს შოვნა უნდოდა და რუსეთის მთავრობამ მიმართა სესხებს როგორც საზღვარ გარედ, ისე თვით რუსეთშიაც.

ეს სესხები ყველას მძიმე ტვირთად დაგვაწვება. მარტო საფრანგეთისა 9 მილლიარდი ფრანკი მართებს რუსეთს. ფრანგები ახლავე შეუდგნენ იმის ფიქრს, როგორ დაიბრუნონ ნასესხები ფული, და მათი გაზეთებიც ამ სათაურის წერილებით სავსეა: „comment jauver nos neuf milliards?“ მაგრამ მაინც ამ სესხების სიძლიერესა და სისასტიკეს ჩვენ ვიგრძნობთ შემდეგში. განზრახული ახალი გადასახადები კი ახლავე დაგვაწვება კისერზე მძიმე ლოდად და მის სიმკაცრეს ახლავე ვიგრძნობთ.

მთავრობამ იცის, რომ, ეგრედ წოდებულ, პირდაპირ გადასახადების მომატება, რომელიც ყველასათვის ადვილად შესამჩნევია, იწვევს დიდს უკმაყოფილებას, და ამიტომ განუზრახავს ახალ არა-პირდაპირ გადასახადების შემოღება.

9 მარტს სახელმწიფო საბჭოს არა-ჩვეულებრივ სხდომაზე განხილულ იქმნა ფინანსთა სამინისტროს პროექტი, რომელიც თხოულობს: მოემატოს ბაჟი იმ ქონებას, რომელიც ერთი კაცისაგან მეორეს ხელში გადადის (пошлина съ имуществъ, безмездно переходящихъ). მოემატოს აქციზი ლუდს—50%, მოემატოს აქციზი სპიჩკას—ორჯერ მეტი, რაც ახლა არის გადიდდეს აქციზი სალუდებელს, ნავთზე და სხვ.

ამასთან განზრახულია აგრეთვე მოსამსახურე პირების ჯამაგირებიდან, რომელნიც 600 მანათზე მეტს იღებენ, გამოაკლონ თვიურად მათი ჯამაგირის 14%. (აფიცრების ჯამაგირებიდან—18%), აქედან 4% საპენსიო თანხისთვის, 10% ომის სასარგებლოდ.

მკითხველებს ეხსომებათ, რომ ჩინეთთან „ომის“ დროს, ს. ი. ვიტტემაც შემოიღო დროებით არა-პირდაპირი გადასახადების მომეტება. „დაძლევისა“ და დამშვიდების შემდეგ კონტრიბუციაც გამოართვა ჩინეთს რუსეთმა, მაგრამ „დროებით“ მომატებული გადასახადები მაინც არ მოსპობილა და სამუდამოდ შეიქმნა. ხალხი წელში იზნიქებოდა, მაგრამ ხაზინა მაინც მომეტებულ გადასახადს ახდევინებდა. ალბად ფიქრობენ, რომ ხალხი გადიდებულ გადასახადის ტვირთს ახლაც აიტანსო...

ჩვენ არ ვიცით, რა გადასწყვიტა სახელმწიფო საბჭომ, მაგრამ ეს კი ვიცით, რომ, როდესაც ვიტტემ „ჩინეთის დასამშვიდებლად“ გადასახადები გაამრავლა და გაადიდა, თვითონვე აღიარა: მეტი ბაჟების და გადასახადების მომატება უხერხულია და არც შეიძლება, რადგანაც, თუ კი რამ გადასახადის გაწერა შეიძლებოდა, ყველაფერი გაწერილიაო.

მაშ რითი გამართლებულ უნდა იქმნეს ახალი არა-პირდაპირი გადასახადი? ჩვენის ქვეყნის ეკონომიურ წარმატებაში იმ დროს შემდეგ გაუმჯობესება არაფერი მომხდარა. პირიქით, ხალხი წინანდელზე უფრო ეკონომიურად დაგლახაკდა და გაღარიბდა. მას აღარ შესწევს ძალ ღონე, რომ შეიტანოს უკვე არსებული გადასახადები, და თავის გაჭირვებას ყოველგან და დაუფარავად აცხადებს, და საიდან უნდა გამონახონ სახსარი, რომ კიდევ ახალ გადასახადებს გაუსწორდეს? გაწერა ძნელი არ არის, მაგრამ ამ გაწერილის გადახდაა საქმე!..

ჩვენ, როგორც საქართველოს ხალხის გაჭირვების მცოდნე, კატეგორიულად ვაცხადებთ, რომ ჩვენი ხალხი წელში გაწყვეტილია გადასახადებით და ეკონომიური უსახსრობით. ამ ნიადაგზე არის, სხვათა შორის, აშენებული ის არეულობა, რომელიც მთელს საქართველოს ასეთის სისწრაფით მოედვა. როგორც გურიაში, ისე სხვაგან ხალხმა დაუფარავად მოითხოვა არა-პირდაპირის გადასახადების მოსპობა და ახლა, ამ მოთხოვნის შესრულების მაგიერ, კიდევ ახალი გადასახადები რომ მიემატოს, ჩვენ იმის წარმოდგენაც გვიჭირს, რამდენს მწუხარებას გამოიწვევს ეს მოვლენა.

სამწუხარო იქნება, თუ ამ საქმეში მთავრობა აჩქარდა. ეს აჩქარება დიდ ზიანს მოიტანს...

ყველამ ვიცით, რომ 18 თებერვლის ბრძანება სახალხო წარმომადგენლების მოწვევის შესახებ მალე იქნება შესრულებული. ხალხის წარმომადგენლებს სავსებით ექნებათ გაცნობილი ხალხის მდგომარეობა, იმათ ეცოდინებათ, შეუძლიან ხალხს, გამოიღოს კიდევ მეტი ფული, თუ არა.

ახალი გადასახადების საქმეც ამ კრებამ უნდა განიხილოს. ხალხის ინტერესი მოითხოვს, ამ შემთხვევაში მთავრობა შეჩერდეს და იმ დრომდის მოიცადოს, როცა ქვეყნის-მიერ თავისუფლად არჩეული წარმომადგენლები პეტერბურგში შეიკრიბებიან.

რადგანაც ჩვენი ქვეყანა ახლა დიდ კრიზისს განიცდის და აწინდელ მდგომარეობაში მეტ ხანს დარჩენა აუტანელი და შეუძლებელია, ამიტომ ყველამ უნდა ხელი შეუწყოთ და ყოველის გზით ვეცადოთ, რომ უმაღლეს მთავრობისაგან აღთქმული პოლიტიკური ცვლილებამალე სისრულეში მოყვანილ იქმნეს და რეალურად განხორციელდეს...

ფრიდონ.

ქართლის ამბები

წერილი გორიდან

(საკუთარის კორესპონდენტისაგან).

17 მარტს გორში სამარისებური სიჩუმე იყო, თითქო მცხოვრებლებს ორის დღის ღელვა-მოძრაობის შემდეგ მაჯის ცემა სამარადისოდ შესწყვეტიათო.

14 მარტსა და 15-საქ ისეთი ამბები ყოფილა, რომელიც ისტორიაში წაუშლელის ასოებით აღიბეჭდება.

ყველა, ვისაც ვკითხე შეძრწუნებულ-შეშფოთებულ იყო და ამბებს დაულაგებლადა და არეულად მიამბობდნენ. ძნელია ამიტომ ამბების სინამდვილით მოწერა, მაგრამ გაწვდით ისეთს ცნობებს, რომელსაც თვითოეული კაცი დაამოწმებს.

„დილა იყო,—ამბობენ ყველანი,—რომ ქალაქში 14 მარტს ხმა დაეარდა,—გორში დღეს დიდი არეულობა მოხდებაო. ათ საათზე მრავლად დარბოდნენ ქუჩა-ქუჩა კაცები და მცხოვრებთ აფრთხილებდნენ: კარებები დაიკეტეთ, დუქნები დარაზეთო. ასეთი ხმა მთელს გორში გაისმა და დუქნებიც ყველგან დაიკეტა... შეშინებულნი, მაგრამ ცნობის მოყვარეობით გატაცებულნი მცხოვრებნი გარედ გამოცვივდნენ და ქუჩაზე შეჯგუფდნენ...

უკვე თერთმეტი საათი იყო, რომ ქალაქში ნამდვილი ამბავი მოვიდა! ამიროვის ქალას, რომელიც ქალაქს აკრავს და თვალუწვდენელად გადაჭიმულა, გორის გარეთუბნის მცხოვრებნი დაეცნენ ასაკლებად, რადგან ეს ქალა ქალაქის საკუთრება იყო და ამ ბოლო დროს ამიროვმა გაიძვერაობით დაინარჩუნაო.

ჩქარა შუა ქალაქში „სტრაჟნიკებით“ მაზრის უფროსის თანაშემწემ გამოიარა და გაემართა გარეთუბნისკენ. გზაზე მან მედუქნეებს წინადადება მისცა, დუქნები და მაღაზიები გააღეთ, ნურაფრისა გეშინიანთო, მაგრამ მას არავინ გაუგონა, რადგან წინადაც მაგალითი ყოფილა დუქნების ფანჯრების ჩამტვრევისა.

დაინტერესებული მცხოვრებნი გაემართნენ გარეთუბნისკენ და იქიდან დემონსტრატიულად ქალაქის გარედ გასწიეს. ხალხს ქალაში თავის გადაწყვეტა უკვე მოესწრო. ამ ხანში მთელს ქალაქს ჯარი და სტრაჟნიკები მოედო. დემონსტრანტთა რიცხვი 12 საათზე ერთობ გაძლიერდა. მათში ერივნენ ქალაქის მცხოვრებნიც. მათ შეუერთდნენ ცნობის-მოყვარე ქალი და კაცი. სალდათებმა და სტრაჟნიკებმა თოფების სროლა დაიწყეს... ხალხი დაიფანტა. ოფიციალური ცნობებით, დაიჭრა 18 კაცი, ორი მოკვდა. ამათ გარდა რამდენიმე მსუბუქად დაიჭრნენ და, სხვადასხვა მიზეზთა გამო, ექიმს სრულიად არ სჩვენებიან. მოკლულებში ერთი იყო 18 წლისა, გვარად მუჩაიძე, მეორე—13 წლის ბავშვი. ერთი სალდათი დაჭრილ ბავშვთან მივიდა და გულში საზარლად ჩასცა თოფის შტიკი... ბავშვი მოკვდა... ხალხი ჩქარა დაიშალა“.

15 მარტს გორის მაზრის უფროსი მაზრიდან დაბრუნებულა და არეულობაზე მოსალაპარაკებლად ხალხისთვის ერთად შეკრების ნება მიუცია. ორ საათზე ხალხი ქალაქის გარედ შეკრებილა, სადაც მაზრის უფროსიც უნდა მისულიყო. ხალხს ოთხ საათამდე უთათბირნია და გადაუწყვეტია, არ ენდოს მაზრის უფროსს და საქმის გარემოების გამოსარკვევად ბ-ნი სულთან-კრიმგირეი მოითხოვონ. ოთხს საათზე მაზრის უფროსი მისულა ხალხთან და ხალხსაც თავისი გადაწყვეტილება უთქვამს. მაზრის უფროსისაგან მოუთხოვიათ, რომ სამი-ოთხის დღის განმავლობაში ხალხს ნება ჰქონდეს ერთად შეკრებისა არეულობაზე მოსალაპარაკებლად. მაზრის უფროსს ნება დაურთავს, მაგრამ მცხოვრებნი ნებართვით არ სარგებლობენ. ხალხს მოუთხოვია, მოკლულთა დამარხვას პოლიცია და ჯარი არ დაესწროს, და მაზრის უფროსიც დათანხმებულა.

ქალაქის გამგეობასაც აღუძრავს შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ეს საქმე კარგად იქმნეს გამორკვეულიო.

16 მარტს დაასაფლავეს მოკლულნი. ერთი სომხეთა ეკლესიაზე მიასვენეს, მეორე ოქონის ეკლესიაში. ეს ეკლესიები ერთმანეთზე ძალიან ახლო არიან და აქედან ექვსმა ათასმა კაცმა მოკლულნი სამარის კარამდე მიასვენა.—პროცესიას პოლიციელი არ დასწრებია, მაზრის უფროსი ციხეზე იყო და ხალხს იქიდან დურბინდით ათვალიერებდა. ხალხი გზაზე რამდენსამე ადგილას გაჩერდა და მრავალი სიტყვებიც წარმოითქვა. პროცესიას სამღვდელოებაც დაესწრო. მთელ დღეს გლოვის ნიშნად ყველა დუქნები და მაღაზიები დაკეტილი იყო. კუბოს დიდძალი გვირგვინები ამკობდა.

16 მარტს გორში საქმის გამოსაძიებლად ტფილისის ოლქის სასამართლოს პროკურორი მოვიდა. საქმეს ხალხის მიერ არჩეულ დეპუტატთა თანადასწრებით გაარჩევს.

რამდენიმე დაჭრილი საშიშ მდგომარეობაშია. მათი მორჩენის იმედი არა აქვთ.

რ—ბ—ლი.

—

ს. ბრეთი. გლეხობის მღელვარება აქ სულ სხვა სახისა იყო, არ ემუქრებოდნენ მემამულეებს დაწვით და აკლებით, თავი დაანებეს მუშაობას, ხვნა-თესვაზე აღარ გავიდნენ, ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებოდნენ და ხმა დაბლა ლაპარაკობდნენ. მემამულეთ უცხადებდნენ უკმაყოფილებას ზრდილობიანის სიტყვითა და თავ-დაჭერილად. „ძმამ ძმას ანგარიში უყო, ისევ ძმები არიანო“, ამბობდა საწყალი დაბეჩავებული გლეხი,—ჩვენ სხვებსავით ერთმანეთს არ უნდა გადავემტეროთ, ღმერთმა დაგვიფაროს დაწვისა და კაცის კვლისაგანაო“. ყველიერის კვირაში თითქმის ყოველ დღე თავადსა და გლეხთა შორის იყო ანგარიში მამულის იჯარად გაცემაზე, ღალის დაკლებაზე. ნასადილევს კი კვლავინდებური ლხინი იმართებოდა.

საერთო ყრილობა მემამულეებისა და გლეხებისა ორჯელ მოხდა: ყველიერში და მარხვის პირველ კვირას. ხალხმა ითხოვა მამული მათ მხოლოდ საღალოდ დათმობოდათ. დღიური ერთ კოდად—20 გირვანქიანი ჩანახით, ე. ი. 4 ფუთად. მამულის სამეოთხედოდ გაცემაზე ხალხი უარს ამბობდა, რადგანაც „ცოდო მადლი ტრიალებსო“. ბულულებს მუშა თანასწორად ვერ სდგამს, არჩევანში მემამულე შედის, დიდ ძნას და ბულულს იღებს და ზოგჯერ ქურდობასაც გვაბრალებსო; თუ მეოთხედი გაულეწე, მაშინ ხომ მემამულე სულ ეჭვის თვალით იცქირებაო. მამულის სამეოთხედოდ აღებას ხალხი უფრო უხერხულად სთვლის, რადგან მემამულე მეოთხედს თავის დროზე ვერ გვიყოფს, ხან დილით ვერ იღვიძებს, ან ვერ ასწრებს და მინდორში ჰირნახულს ძაღლი და ღორი გვიხდენსო. საღალოდ გაცემა მამულისა კი უფრო სახეიროა, ამბობდა გლეხი,—ჩვენ დროზე ჰირნახულს მოვზიდავთ და არც ქურდობა დაგვბრალდებაო. მემამულენიც და გლეხობაც დასთანხმდნენ სოფელში შემოღებულ იყოს მხოლოდ 20 გირვანქიანი ჩანახი და მამული საღალოდ გაიცეს.

როგორც ზემოდ მოგახსენეთ, ხალხმა ითხოვა მამული 8 ჩანახად დღიური, ე. ი. ერთ კოდად. მემამულეები კი ახდევინებდნენ კოდ-ნახევარს 25 გირვანქიან ჩანახით, ზოგი 32 გირვანქიანისა და ზოგიც თურმე 35 გირ. ჩანახით იღებდი ღალას. ამასთან, რაც მთავრობამ მამულებს ფასი დაადო, ეს ხარჯიც ზოგს მხვნელისთვის დაუკისრებია—დღიურზე ორი აბაზი „აცენკა“.

პირველ კრებაზე ერთმა ჯგუფმა მემამულეებისამ გადაჰკვეთა დღიური 5 ფუთად, ე. ი. 10 ჩანახად, ამასთან უარი სთქვეს საბალახოს და „აცენკის“ აღებაზე (სხვა არავითარი ბეგარა აქ არ არსებობს). ერთმა მემამულეთაგანმა ასე უთხრა ხალხსა: „ჩვენი სავალალო და უბედურება და ჩვენთან ერთად თქვენიც იმაში მდგომარეობს, რომ ცოტა მამული გვაქვს, ღარიბნი ვართ. თქვენ კარქად იცით, საავალიშვილო ყოველ წელს არ იხვნის, თავად ორ წელიწადში ერთხელ თორემ სამ წელიწადში ორ მოსავალის მეტს არ მოიყვანს. დღიურ ნახნავში ხუთ ფუთს ღალას რომ დაყაბულდეთ, სამი წლის განმავლობაში დღიური მოგვცემს მხოლოდ ათ ფუთ ჰირნახულს—ხუთ მანეთად ღირებულს. დღიური მოგვცემს 3 წელს 5 მანათის ჰირნახულს, ე. ი. წელიწადში 1 მ. 67 კაპ. აქედან მთავრობა გვართმევს დღიურზე დაახლოვებით 40 კაპ. ჩვენ დაგვრჩება ყოველ-წლიური შემოსავალი დღიურიდან 1 მ. 27 კაპ. „დესეტინა“ მოგვცემს 2 მ. 54 კ. მთავრობა კი ჩვენს მამულს ისეთ შემოსავლიანად სთვლის, ვითომ დესეტინა გვაძლევდეს ერთს თუმანს, და ამის კვალობაზე გვახდევინებს „სტრაჟნიკების“ დასაქირავებლად. სად ორი და ათი შაური და სად 10 მანათი. დღიურზე ხუთი ფუთი რომ გავაკეთოთ ღალა, თქვენ დაგრჩებათ 25 ფუთი ჰირნახული, დღიურზე მოსავალი ექვსი კოდი რომ ვიანგარიშოთ“. მაინც მხვნელი 5 ფუთზე არ დაყაბულდა; დადგა 4 ფუთზედა ფეხი არ მოიცვალა.

მეორე ყრილობაზე მემამულენი უფრო მეტნი დაესწრნენ ვიდრე პირველზე იყვნენ და ახლად დამსწრე მემამულეებმა დააფასეს ღალა ისევ კოდ-ნახევარი, მხოლოდ 20 გირ. ჩანახით, ე. ი. ექვსი ფუთი. რამოდენად სასიამოვნო იყო პირველ კრებაზე ბაასი მემამულეთა და გლეხებს შორის, იმდენად უსიამოვნო იყო რჩევა უკანასკნელ კრებაზე: ბაასი ყაყანად გარდაიქცა და ხალხი უკმაყოფილოდ დაიშალა ამ სიტყვებით.

მამული თქვენი ნებაა, ძალით ვერ წაგართმევთ; თუ ჩვენ არ გინდივართ, არც თქვენ გვეინდიხართო.

მაგრამ ორის დღის შემდეგ ხალხი ისევ შეურიგდა მემამულეთ და გავიდა სამუშაოდ. გარდასწყვიტეს—საერთო გარდაწყვეტილებაზე გავიაროთ, დავუცადოთ კომისიასაო“.

სხვაგან გლეხკაცობის მღელვარება უფრო გამწვავებული იყო. უკანასკნელ ორი კვირის განმავლობაში ბრეთის ყოველ მხრივ თითქმის ყოველ ღამე სჩანდა ცეცხლი. ცხინვალში თითქმის ყოველ ღამე ორ-სამ ალაგას ეკიდა; იწოდა ვენახი, საწყნახლები, წისქვილები; იქ ჩემის თვალის წინ დაიწვა ქალების სკოლა; 9 მარტს ვაჟების სასწავლებელს მიეჭრა ხალხი ბაირაღით და იქიდან მოწაფეები გამორეკა, 13 მარტს ცხინვალში აუარებელი ხალხი შეიკრიბა და «სუდია» ჩასვეს ფაეტონში, მოაბეს უკან ძველი ქესტის ფეხი და გორისკენ ისე გაისტუმრეს. საციციანოში ტყის სადარაჯოები და რამდენიმე მემამულის ვენახი გადასწვეს; სცადეს აგრეთვე სახლების დაწვაც. რუისში დაანგრიეს 5 წისქვილი და სკოლიდან მასწავლებელი გამოაგდეს; იწოდა რაღაცა დვანისკენ; ძეილეთში გადასწვეს კოტე ტატიშვილი; მთლად გადაიბუგა ფცაში ბაგრატიონის სახლი, და სხვა...

ასეთია საერთო მღელვარება გლეხ-კაცობისა ქართლში, სუყოველგან, გარდა დირბისა. შარშანწინ იქ უდრო-უროოდ იყო აღელვება გლეხკაცობისა და მალეც ჩაცხრა.

მამა პიროსელი.

დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

17 მარტი.

სტამბოლი, 17 მარტი. სერბთა იპეკის მართლმადიდებელმა სამრევლომ შესჩივლა უსკიუბის საელჩოებს, ალბანელები გვავიწროებენო, და რუსის მთავრობას დასმარებასა სთხოვენ. ალბანელები დაამშვიდა სულთანის ირადემ, რომლითაც ახლად შემოღებული გარდასახადები გაუქმებულ იქმნა.

პარიზი, 17 მარტი. პრესის აზრით, მაროკკოს ინციდენტი ინგლისსა და საფრანგეთს ერთმანეთს შორის უფრო დააახლოვებს.—არეულის მახლობლად, მაროზის რკინის გზაზე, მატარებელი ლიანდაგს გადასცდა. ვაგონებს ცეცხლი გაუჩნდა. მოკლულ იქმნა ორი მემანქანე, დასახიჩრდა 6, ყველანი ფრანგებს არიან.

პეტერბურგი. სენატის დაწესებულებათა გადამსინჯველ კომისიის გუშინდელ კრებაზე, კომისიის წევრებს გარდა, სხვა და სხვა უწყებათა წარმომადგენლებმაც მიიღეს მონაწილეობა. თითქმის მინისტრთა ყველა ამხანაგები დაესწრნენ.—ფინანსთა მინისტრის ამხანაგი თავადი ობოლენსკი განთავისუფლებულ იქმნა არა-პირდაპირ გადასახადთა და სახელმწიფო სასმელებით ვაჭრობის უმთავრესს მმართველობის უფროსის თანამდებობისაგან და დაეკისრა სათავად-აზნაურო და საგლეხო ბანკების მმართველის მოვალეობანი. არა-პირდაპირ გადასახადთა და სახელმწიფო სასმელებით ვაჭრობის უმთავრესს მმართველობის უფროსის თანა-

შემწე ნოვიცკი დანიშნულ იქმნა ამავე მმართველობის უფროსად. ტავრიჩესკის გუბერნატორს უმოწყალესად უმართებულესის სენატის წევრობა და ტაინი სოვეტნიკის ჩინი ებოძა.

ლისაბონი, 17 მარტი. იმპერატორი ვილჰელმი გემ „ჰამბურგით“ აქედან წავიდა. მეფეს მეგობრულად გამოემშვიდობა.

იალტა, 17 მარტი. საფრანგეთის მოქალაქეთა ზარალი 125 ათასს მანათს უდრის.

ტფილისი, 17 მარტი. ამ უკანასკნელ ხანს გორის მაზრაში მოძრაობა უფრო გამწვავდა. მაზრის ჩრდილო-სამხრეთ ნაწილის ოსები ჯგუფებად დათარეშობენ მებატონეთა მამულებში და უწესობას უფრო აძლიერებენ. სოფლის მოხელენი უსაქმოდ არიან. სოფლის კანცელარიების საბუთის ქაღალდებს ანადგურებენ, რის გამოც ძლიერ ძნელდება ჯარში გასაწვევთა სიების შედგენა. ბევრგან სოფლის ფოსტები ვეღარ მოქმედებენ, პაკეტებს ხსნიან და ხევენ. ცხინვალში ბრბომ მოითხოვა მომრიგებელ მოსამართლის ანდრეევისა, სოფლის ექიმისა და მემამულეთა განდევნა. მებატონეთა მოსამსახურეებს სდევნიან. ბევრმა მემამულემ უკვე მიატოვა თავისი სახლ-კარი. მაზრაში მოსიარულე კომისიას გლეხებმა მხოლოდ პოლიტიკური ხასიათის მოთხოვნილებანი წარუდგინეს. 14 მარტს ურიცხვმა ბრბომ გორში ფანჯრები ჩალეწა, დუქნები დაანგრია. ეს ბრბო წითელის დროშითა და ჯოხებით შეიარაღებული დადიოდა ქუჩებზე. ერთ ადგილს შემოესია ექვს სალდათისაგან შემდგარ პატრულს და თოფების წართმევა მოინდომა. პატრულმა ესროლა. 10 კაცი დაიჭრა, ერთი მოკვდა.

პეტერბურგი, 17 მარტი. სახელმწიფო და კერძო რკინის გზათა უფროსების კრებამ მოქმედება დაიწყო. რკინის გზათა სამინისტრომ რამდენიმე პროექტი მიიღო ციმბირის რკინის გზაზე მიმოსვლის გაუმჯობესობის შესახებ.

პეტერბურგი, 17 მარტი. ბეჭდვითი საქმის შესახებმა განსაკუთრებულმა რჩევამ დროგამოშვებით გამოცემათა ცენზორთან წარსადგენად აწ არსებული წესები დასტოვა, ე. ი. გაზეთი უნდა წარედგინოს ხოლმე იმ დროს, როცა მისს ბეჭვდას შეუდგებიან, ჟურნალები კი—ოთხი დღით ადრე, ვიდრე გასასყიდად ან დასარიგებლად სტამბიდან გამოიტანდნენ. ამასთანავე, მეთვალყურე ორგანოს ნება აქვს დაიჭიროს დროგამოშვებითი გამოცემანი და, თუ მათში რაიმე საწინააღმდეგო ნახა, დამნაშავენი სამართალში მისცეს. ერთი ხმის უმეტესობით, რჩევა განსაკუთრებულის საუქმო ცენზურის წინააღმდეგია.

ლონდონი, 16 მარტი. (რეიტერი). საზოგადოებათა პალატაში განიხილეს სამხედრო ბიუჯეტი. ლორდ ლოუტერმა განაცხადა, ინდოეთის მხედრობის შემცირება შეუძლებელიაო. რუსეთი ინდოეთის საზღვრებზე ისეთ ღონისძიებასა ხმარობს, რომ აუცილებლად უნდა გავაფართოვოთ ინგლის-იაპონიის კავშირი. თუ ვინიცობაა ამ სახელმწიფოთა აზიის სამფლობელოებს თავს დაესხნენ, ორთავე სახელმწიფომ ერთად უნდა იმოქმედოს და ერთმანერთი დაიცვას—ინგლისმა ფლოტით, იაპონიამ კი მხედრობით.

სტამბოლი, 16 მარტი. სამოქალაქო აგენტების მოთხოვნილების თანახმად, ჰილმი-ფაშამ მისწერა მაკედონიის გენერალ-გუბერნატორებს,—ამოდენა ხალხს უმიზეზოდ ნუ ატუსაღებთო.

კანეია, 17 მარტი. (რეიტერი). ბატონიშვილმა გიორგიმ მანიფესტი გამოსცა და შემდეგს აცხადებს: „დიდმა სახელმწიფოებმა ბრძანება მისცეს თავიანთ ჯარებს, კუნძულ კრეტზე წესიერება აღადგინეთო. ჩემის თხოვნით, ბრძანების სისრულეში მოყვანა შეჩერებულ იქმნა 36 საათით. ამიტომ ვთხოვ მცხოვრებთ, თავიანთ სახლ-კარს დაუბრუნდნენ. შეამბოხეთაც ვსთხოვ იარაღი დაჰყარონ“.

პარიზი, 16 მარტი. „ტანი“ იუწყება: იხილავენ გეგმას, თუ რანაირად უნდა მიუსადაგონ ერთმანეთს ინგლისისა და საფრანგეთის ჩრდილოეთის ზღვის ესკადრები. საფრანგეთის ესკადრა ალბად, ინგლისის ნავთსადგურში შევა.

რესტორანის ლაქიის დიდარეს სადგომში აფეთქება მოხდა. ლაქია მძიმედ დაიჭრა. გაჩხრეკის დროს იპოვნეს ანარქისტიული წიგნაკები.

ლონდონი, 16 მარტი. (რეიტერი). ინდოეთის საქმეთა სამინისტრო იუწყება: ქაბულში გაგზავნილმა დიდ-ბრიტანიის მისსიამ თავისი საქმე შეასრულა და ქაბულიდან უკვე გამობრუნდაო.

ლონდონი, 16 მარტი. (რეიტერი). მეფე-დედოფალი კოპენჰაგენში მიდიან.

მეფე გამართება ხმელთა-შუა ზღვისაკენ და იქ დახვდება დედოფალი, რომელიც 22 მარტს წავა.

კალკუტა, 16 მარტი. მეფის მოადგილის საბიუჯეტო საბჭოს კრებაზე კომისიის წევრმა ჰოლგელმა მწუხარება გამოსთქვა დიდძალ სამხედრო ხარჯების გამო და განაცხადა,—ეს ხარჯები უკვე გათვალისწინებული ჰქონდათ, მაგრამ ახლა რუსეთი ისე დასუსტდა და მიდონილდა, რომ მაგოდენა ფულის ხარჯვა საჭირო აღარააო. მეფის მოადგილემ უპასუხა,—ახლა, რუსეთ-იაპონიის ომის დროს, უფრო ცხადი შეიქმნა, რომ ინდოეთი ტუუილ-უბრალოდ არ იყო სამხედრო მზადებაშიო.

ხარკოვი, 16 მარტი. ქალაქის საბჭომ აირჩია კომისია 18 თებერვლის რესკრიპტში აღნიშნულ საგანთა შესამუშავებლად და აუცილებელ საჭიროებად სცნო, რომ ბულიგინის საბჭოში მიწვეულ იქმნენ ხარკოვის წარმომადგენელნი.

ბერლინი, 16 მარტი. ყურადღება მიიქცია ფრანგულ გაზეთ „ტან“-ის ცნობამ ბრიტანიისა და საფრანგეთის ფლოტთა მეგობრულ შეხვედრის შესახებ. მაროკოს საქმეებთან ერთად გაცხარებული სჯა-ბაასი აქვთ გაზეთების წერილებზედაც, რომელშიაც დელკასეს აზრია გამოთქმული. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ გაზ „ტან“-ის განცხადებას, რომ პარიზი, ლონდონი და მადრიდი (საფრანგეთი, ინგლისი და გერმანია) მაროკოში ერთნაირს პროგრამას მისდევენ და გერმანიის მეცადინეობა მაროკოში თავის სავაჭრო ინტერესების დაცვის შესახებ, შეიძლება მიენდოს პარიზში მყოფ გერმანიის ელჩსაო. ამ ამბავმა ცუდად იმოქმედა, თუმცა აქაურ გავლენიან პოლიტიკოსებს არა ჰგონიათ, რომ გერმანია-საფრანგეთის ურთიერთობაში ამ გარემოებამ უკმაყოფილება ჩამოაგდოს და საქმე გაამწვავოს.

იალტა, 17 მარტი. საშუალო სასწავლებლებში სწავლა განახლდა. გუშინ მთავარი სამასწავლო ოლქის მზრუნველი და ვაჟების გიმნაზიაში გაკვეთილებს დაესწრო.

სამარა. ბოგატოვის შაქრის ქარხანა დაიწვა.

მინსკი. ნოქართა მოთხოვნილების განხილვის დროს, ვაჭართა კრებამ დაადგინა, სავაჭრო დაწესებულებანი ყოველ დღე საღამოს 9 საათზე დაიკეტოს ხოლმე. აგრეთვე იშუამდგომლონ მთავრობის წინაშე ნოქართა და ვაჭართა საურთიერთო დახმარების საზოგადოების დაარსების შესახებ.

ათონი. იმ სახელმწიფოებმა, რომელნიც კრეტს მფარველობენ, განაცხადეს, წესიერების აღსადგენად ჯარებს გამოვგზავნითო. ბატონიშვილის გიორგის თხოვნით, პროკლამაციები გამოსცეს, სადაც შეამბოხეთ 36 საათის ვადას აძლევენ. ამ დროს განმავლობაში შეამბოხეებმა იარაღი უნდა დაჰყარონ.

მოსკოვი. საშუალო სასწავლებლებს ცირკულიარები დაურიგდათ, რომლითაც ურჩევენ მასწავლებლებს, მოწაფეებს გულ-მოსულად არ მოეპყრან. სასწავლებლის უფროსებს ურჩევენ ყურადღება მიაქციონ ნერვებ აშლილ მასწავლებელთ.—მხატვარი ვრუბელი ჭკუაზე შესცდა და პსიხიატრულ საავადმყოფოში მოათავსეს.

იალტა. საბჭომ უარჰყო საქალაქო პოლიციის ორგანიზაციის პროექტი.

ლონდონი. ამერიკის ელჩი სანდომინგოდან დეპეშით იუწყება ვაშინგტონში, დღესასწაულებში ამბოხება მოხდებაო. პრეზიდენტმა გადასწყვიტა პორტ-ოპრენსის ნავთსადგურში სამხედრო გემი გაჰგზავნოს ამერიკის ქვეშევრდომთა დასაცველად.

ბუდაპეშტი. საღამოთი ხმა გავრცელდა, იმპერატორისა და ოპოზიციის შეთანხმება ისე მოხერხდა, რომ მხედრობის ერთობა არ დაირღვევაო. მოელიან ანდრაშის სამინისტროს შედგენას. დღეს მოვა სამხედრო მინისტრი და, იმპერატორის სურვილისამებრ, გაასაზღვრავს, თუ რის დათმობა შეუძლია მთავრობას ოპოზიციისთვის მხედრობის საქმეში.

სარატოვი. საგუბერნიო ერობის კრებამ დაადგინა, აირჩიოს კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს, ადგილობრივ ვითარების მიხედვით, ხალხის წარმომადგენლობის საკითხი.

სოხუმი, 17 მარტი. შუადღის თორმეტის ნახევარ საათზე სოხუმის ოლქის უფროსს პოლკოვნიკს პროკუდინსკის ვიღაც უცნობებმა რამდენჯერმე რევოლვერი ესროლეს, მაგრამ ააცდინეს. დამნაშავენი გაიქცნენ. სტრაჟნიკებმა გაქცეულებს სროლა აუტეხეს.

იალტა ქალაქმა ჩვეულებრივი სახე მიიღო. უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომთ, რომელნიც უკანასკნელ უწესოების დროს დაშავდნენ, თავიანთ კონსულების პირით მთავრობას ზარალის ანაზღაურება მოსთხოვეს.

რიგა. გუბერნატორის განკარგულებით, აიკრძალა რუს ლიტერატორთა წრისა და იმის განყოფილების სხდომები. ქალაქ გარედ მოჰკლეს რუსეთ-ბალტიის ვაგონების ქარხნის ოსტატი. მკვლელნი დაიმალნენ.

კრემენჩუგი. ბოროტ-განმზრახველთაგან თავში დაჭრილი აფიცერი კულოვი გარდაიცვალა,

იალტა, ლივადიაში ცეცხლი არ გაჩენილა. ბულვარის ქუჩაზე დაიწვა საუფლისწულო უწყების სახლი, ეგრედ წოდებული „ლივადიისა“.

დვინსკი. დღეს, დილის ათ საათზე, მძიმედ დასჭრეს პოლიცმეისტერის თანაშემწე ბულავინი. სულ სამჯერ ესროლეს. დამნაშავენი დაიმალნენ.

ხარკოვი. ქალაქის მოურავმა პროფესორმა პოგორელკომ საბჭოში წინადადება შეიტანა, აირჩიონ კომისია 18 თებერვლის რესკრიპტში აღნიშნულ საგანთა გამოსარკვევად; საბჭომ გადასწყვიტა, კომისიაში მოიწვიოს აგრეთვე გარეშე გამოცდილი მოღვაწენი; კომისია წერილობით გამოთქმულ მოსაზრებასაც მიიღებს.

თავრიზი. ხვალ მემკვიდრე თეირანს წავა. მოვიდა ახალი გუბერნატორი ნიზამულ-სალტანე.

ვენა. «დეიჩე-ფოლკსბლატ»-ი იუწყება, რომ სამხრეთ ტიროლის სამზღვრების გასამაგრებლად ავსტრიის სამხედრო უწყებამ 200-ზე მეტი ზარბაზანი გაჰგზავნაო.

ტრიესტი. „ავსტრ. ლლოიდ“-ი აცხადებს, 20 მარტიდან ტრიესტსა და ბათუმს შუა გემები წესიერად დაიწყებენ მიმოსვლასაო.

მადრიდი. გარეშე საქმეთა მინისტრმა გამოაცხადა, მეფე ალფონსი მგზავრობას 15 ან 16 მარტიდან შეუდგებაო. მეფე პარიზში 17 მარტს მივა. ჯერ არ იციან, როდის მივა მეფე ვენაში.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა საგენტოებისაგან)

17 მარტი.

ბერლინი, 17 მარტი. «ბერლინერ ტაგებლატ»-ს ტოკიოდან ატყობინებენ, იაპონელები იმაზე უფრო გაცილებით ჩქარა მიდიან წინ რუსების გზის მოსაჭრელად, ვიდრე განზრახული იყოო. ახლო მომავალში მოელიან იაპონელთა ყველა ლაშქრების საერთო სატევ მოქმედებას. ჰფიქრობენ, რუსები სუნგარის მიდამოებისაკენ დაიწევენ და ხარბინის მახლობლად თავს მოიყრიანო.

ფრანკფურტი-მაინზე, 17 მარტი. „ფრანკფურტერ ცაიტუნგს“ პარიზიდან ატყობინებენ: როგორც რუსეთის წყაროებიდან იუწყებიან, ადვილი შესაძლებელია, ახლანდელი ომი ისე გათავდეს, როგორც ყირიმის ომი გათავდა—პარიზის კონგრესით, რადგანაც ამ ომში, გარდა რუსეთისა, დაინტერესებულია სხვა დიდი სახელმწიფოებიც, რომელთაც უსათუოდ მონაწილეობა უნდა მიიღონ იაპონელთა ზავის პირობების განხილვაში.

ტოკიო. რუსის ლაშქარი სინძინისკენ იწევს და ფუშუნის ჩრდილო-აღმოსავლეთითა და გირინის სამხრეთით დაახლოვებით 75 მილის მანძილზე გროვდება. ადგილი მთიანია, გზები გაფუჭებულია და შეკრულია თოვლით. ამ რაიონში რუსებს ძლიერ ცოტა ნუზლ სანოვაგე აქვთ. აქ რუსის ჯარის რიცხვი დაახლოვებით იქნება ერთი საარმიო კორპუსი, რომელიც წინად რუსთა მარცხენა ფრთედს შეადგენდა. რადგანაც იაპონელები გირინს უახლოვდებიან, ჰფიქრობენ, რომ რუსები სამოქმედოდ მთელს თავიანთს ძალ-ღონეს მოიხმარებენ.

ლონდონი. ნიუ-იორკიდან მიღებული ცნობებით, 12 წყალ-ქვეშ მავალი ნავი ჰოლლანდის სისტემისა უზიანოდ მისულა რუსეთში.

ნიცა. ბრიტანიის ინდოეთში სახელგანთქმულმა მაგარაჯამ კაპურტალმა, რომელიც ახლა ნიცაშია, უთხრა კორესპონდენტს,—ინდოეთში დიდს ყურადღებას აქცევენ რუსეთ-იაპონიის ომსაო. კაპურტალმა დასძინა,—ეს ომი ამ ათის წლის წინად რომ ატეხილიყო, მისი ცეცხლი მთელს აზიას მოედებოდა, ახლა კი გარემოება შეიცვალა და ინგლისს ომის გამოცხადებაზე ფიქრიც არ შეუძლიან; ომი ინგლისს არავითარს სარგებლობას არ მოუტანს, რადგანაც მან აზიაში თავის სურვილს მიაღწია და საკმაო სამფლობელოები შეიძინაო. დასასრულ მაგარაჯამ სთქვა,—ჩემი აქ, ევროპაში, ყოფნა იმისი დამამტკიცებელია, რომ ინდოეთში სრული მყუდროებაა და ამ მყუდროებას არავითარი შიში არ მოელისო.

პარიზი, 17 მარტი. „მატენის“ თანამშრომელი, რომელმაც მარტის დამდეგს ადმირალი როჟდესტვენსკი ინახულა, ამბობს, ადმირალი ნოსსიბეში დგომას იდეალურად სთვლის, დიდი მადლობელია მკვიდრთა მოპყრობისა, და კვლავ ამოწმებს, რომ ჰულლში ნაღმოსანი გემი იყოო. კმაყოფილია თავისის ეკიპაჟისა, რომელიც 12 ათას კაცისაგან შესდგება, ავადმყოფები ცოტა ჰყავს.—«რევიუ დე რევიუში» სუმაძე მოგვითხრობს ომის წინამორბედ ამბებს და მთელ დანაშაულს ბრალად რუსეთსა სდებს.—„ჟურნალის“ კორესპონდენტი ნოდო, რომელიც იაპონელებმა, დაატყვევეს, დეპეშით იუწყება, გამანთავისუფლეს იმ პირობით, რომ იაპონიის ლაშქრის შესახებ დაწვრილებითი ცნობები არ გამოვაქვეყნოო. მუკდენიდან კობემდე რუსტყვეებთან ერთად ვიარე. იაპონელები კარგად გვეპყრობოდნენო.

18 მარტი.

პარიზი, 17 მარტი. „ჟურნალ“-ის კორესპონდენტი ლიუდოვიკ ნოდო, რომელიც მუკდენთან დაატყვევეს, დეპეშით იუწყება,—გამანთავისუფლეს უფლებათა განუსაზღვრელად, მხოლოდ აღმიკრძალეს იაპონიის ლაშქრების შესახებ წინდაწინვე ნაადრევ ცნობათა გამოქვეყნებაო. მუკდენიდან დალნიმდე კორესპონდენტი გაჰყოლია აუარებელ ტყვე-რუსებს. დასასრულ ლიუდოვიკ ნოდო ტყვეების შესახებ იწერება: რუსები ძლიერ ანუგეშა იმ ამბავმა, რომ იაპონელები მეტად საქებურად ეპყრობიან ტყვეებსაო.

ხარბინი. (საკუთ. კორესპ.) ჩინეთ აღმოსავლეთის რკინის გზის უფროსის ბრძანებით რკინის გზის მოხელეთა ოჯახობასა და კერძო კაცთ აეკრძალული აქვთ ხარბინში შესვლა. რუსის უკანა ლაშქრის მთავარ-უფროსმა ხარბინიდან გამოსვლა აუკრძალა ისეთებს, რომელთაც შეუძლიანთ რაიმე სარგებლობის მოტანა ომის დროს. ეს ბრძანება ქალებს არ შეეხება. ხარბინი დღითი-დღე ცარიელდება.

(ღამის დეპეშები იხ. მეოთხე გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან.

რუსეთის ჯარის უკან დახევა. ტოკიოდან იუწყებიან: რუსების მარცხენა ფრთე (გენ. რენენკამფისა და დანილოვის რაზმები) გირინისკენ მიდიან და ამ ჟამად ერთ ადგილას იყრიან თავსაო. ეხლა ეს რაზმი ფუშუნის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით 120 ვერსის მანძილზე იმყოფება. გზები გაფუჭებულია, თოვლი დნება და რუსებს სიარული ძალიან უჭირთ. ამ რაზმში 30 ათასი კაცი იქნება.

იაპონელები გირინს უახლოვდებიან; ამიტომ საფიქრებელია, რომ რუსები ერთ ადგილას მოიყრიან თავსა და იაპონელთა შეჩერებას ეცდებიან.

ბრძოლის ველიდან არავითარი ცნობა არ მოდის. გენ. ლინევიჩიც სდუმს; რამდენიმე დღეა, რაც მოხსენება არ გამოუგზავნია (რ.).

„რეიტერის სააგენტოს“ კორესპონდენტი იუწყება: მუკდენიდან რუსები ხუთის გზით, ანუ, უკედ რომ ვთქვათ, უგზო-უკვლოდ იწევდნენ. სალდათები ბარგი-ბარხანას, იარაღსა და მძიმე ტანთსაცმელს გზაზე ჰყრიდნენ და არეულ-დარეულად გამორბოდნენ. ყაზახები ტელინში კერძო მაღაზიებს სძარცვავდნენ, სახლებს ცეცხლს უკიდებ-

---

ფელეტონი

გზა-დაბნეული.

(მოთხრობა)

მატარებელი ორ საათ ნახევარს იგვიანებდა, მე კი იმის შიშით, რომ არ დამგვიანებოდა, სადგურზე დანიშნულ დროზე ერთი საათით კიდევ ადრე მოველ. ნება-უნებურად სამ საათზე მეტი უნდა მეცადნა. რადგან არ ვიცოდი, ეს დრო რანაირად გამეტარებინა, და არც ნაცნობი მყავდა, რომ ვისმე გამოველაპარაკებოდი მაინც, სადგურის დარბაზებში უაზროდ დავდიოდი და კედლებზე გაკრულ განცხადებებს ბეჯითად ვკითხულობდი.

სადგური ხალხით სავსე იყო და, როგორც შევატყე, ყველა ჩემებრ უაზროდ დაიარებოდა. ზოგი იმავე მატარებელს უცდიდა და უსიამოვნო მოლოდინში ბარგის გადამტანს, ბუფეტის ლაქიას, სადგურის დარაჯს უჯავრდებოდა, უყვიროდა, ლანძღავდა, ერთის სიტყვით, ცუდ გუნებაზე იყო, ადგილს ვერ პოულობდა და უმიზეზოდ ქინიანობდა. ზოგი ნაცნობს ეძებდა, ზოგიც სამსახურის გამო ერთი ოთახიდან მეორეში დარბოდა. იყო ბევრი იმისთანაც, რომელიც უსაქმურობისა გამო სადგურის დარბაზების იატაკს ხშირად ტკეპნის და მოურიდებლად ოხუნჯობს უწმაწურ სიტყვებს ხმარობს, ხმა-მაღლა იცინის და ზოგჯერ მღერის კიდეც. ამნაირ რაინდებს შეხვდებით თითქმის ყოველ რკინის გზის სადგურზე, თუ მის ახლო დაბა ან სამაზრო ქალაქი მდებარეობს. მომეტებულ ნაწილად ეს მხიარული ყმაწვილები არიან, რომლებიც, თუ სადმე დუქანში ან ვისიმე ოჯახში არ ქეიფობენ, სადგურებზე იყრიან თავს და წარსულ ან მომავალ ნადიმებზე ლაპარაკობენ. მათ შორის ხშირად დარბაისელი, საპატიო პირებიც ურევია,—ეს სამსახურიდან გადაყენებული პოდპოლკოვნიკები და პოლკოვნიკები არიან, რომლებმაც, ასე თუ ისე, სამხედრო სამსახური გააჩანჩალეს, სამსახურს თავი დაანებეს, ან, უკედ რომ ვსთქვათ, დაანებებინეს, და დარჩენილს სიცოცხლეს აუშფოთრად და მშვიდად სოფლებში ატარებენ. ამათ სადგურებზე კაცი დღეში ორჯელ შეხვდება,—დილით 11 საათიდან 2 საათამდე და საღამოს 6—10-მდე. ცოლის ხელით შეკერილ მუნდირით, რომელსაც წელი არას დროს თავის ადგილზე არა აქვს, მოჩვარებულ-აჭრელებულის ეპოლეტებით, პრტყელ «კარტუზიანი» ქუდითა და მსხვილი ჯოხით ხელში—ეს ძველი მეომარნი ყოველ დღე, დანიშნულ დროს გამოდიან სადგურზე, რომ გამვლელ-გამომვლელები შეათვალიერონ, ნაცნობებს დღეში სამჯერ მაინც ჩამოართვან ხელი და ამით თვალი და გული გაართონ. დადიან უხმოდ, მშვიდობიანად და, როცა იღლებიან, მოურიდებლად ბუფეტიდან სკამს იღებენ, კარში გააქვთ და უთუოდ კარების გასავალში სხდებიან, რომ გამვლელ-გამომვლელნი შეუმჩნევლად არ გაუშვან და ყველაფერს თვალი ადევნონ.

სადგურზე თუ ვინმე თავს კარგად და თავისუფლად გრძნობდა, ეს ისევ რკინის გზის მოსამსახურენი. ისინი ჩქარის ნაბიჯითა და ხელის კვრით ბუფეტში შემოდიოდნენ, ზედ არავის არ შეხედავდნენ, დახლთან მიდიოდნენ, 2—4 ჰიქა არაყს საჩქაროდ გადაჰკრავდნენ, მაღალის ხმით უბრძანებდნენ ლაქიას ამა თუ იმ საჭმლის მოტანას და მაგიდებისაკენ მიდიოდნენ, სადაც ხმა მაღლა ლაპარაკობდნენ, ხათხათებდნენ, არავის არაფრად აგდებდნენ.

თეფშების ჩახა-ჩუხი, ლაქიების ძახილი, ხმაურობა, სიცილი, გაგულისებული ყვირილი ერთი ერთმანეთში ირეოდა და დარბაზში აურ-ზაური იდგა.

მატარებლის მოსვლას-კი ჯერ კიდევ ბევრი უკლდა. ყველა ოთახები დავიარე, ყველა განცხადებები გადავიკითხე, ძალა-უნებურად პურიც კი ვჭამე, მაგრამ ერთი საათი ძლივს გასულიყო. გული მელეოდა, სიარულით დავიღალე და მაგიდას მივუჯექ ისე-კი, რომ ყველასათვის თვალი მედევნებინა და ამით მაინც გავრთობილიყავ. ზოგი პურს სჭამდა, ზოგი ჩაის სვამდა, ზოგიც გაზეთს კითხულობდა. ყველას თავი ძირს დაეხარა, საჭმელს ნაზად შეექცეოდა და, პირში ლუკმას რომ ჩაიდებდა, აქეთ-იქით იხედებოდა, ხომ არავინ მიყურებსო.

მაგიდის ბოლოში, განცალკევებით იჯდა ერთი შეიარაღებული, ჩოხიანი ყმაწვილი კაცი, რომელიც სკამზე მოუსვენრად ტოკავდა და ერთ ალაგას ვერ ისვენებდა. ხან ზეზე წამოხტებოდა და სადღაც მიიმალებოდა, ხან ვისმე მაგიდასთან მიიყვანდა და ძალით ღვინოს ასმევდა, მაღალის ხმით ლაპარაკობდა და ბრძანებლობის კილოთი ლაქიას ხშირად უძახდა. ეტყობოდა ყმაწვილი, მთვრალი იყო. წინ, მაგიდაზე, გაციებული საჭმელებით თეფშები, ცარიელი ღვინის ბოთლები და მრავალი ღვინის ჰიქები ელაგა. თუმცა ის ისეთს არაფერს სჩადიოდა, მაგრამ იმ კუთხეს ყველა ერიდებოდა, ყველა სცდილობდა, რაც შეიძლება შორს დამჯდარიყო და იქიდან შიშითა და ზიზღით შესცქეროდა.

დიდი ხანია შევამჩნიე ეს ყმაწვილი კაცი. დიდრონი, შავი თვალები ღვინისაგან უპრწყინავდა, შავ-წვერ ულვაშიან სახეს მკრთალი ფერი დაჰკრავდა, ყველას, როგორც შევატყე, ბოროტის თვალით უყურებდა და ყოველ წამს პაპიროსსა სწევდა. დრო გამოშვებით მას თვალსა ვადევნებდი და გულში მისდამი სიბრალული მეძვროდა.

ყმაწვილმა შემაჩნია, რომ იმას ვუყურებდი, კარგა ხანს მაცქერდებოდა, ბოლოს წამოიწია, თითქოს რაღასაც თქმა უნდაო, მაგრამ შეჩერდა, ვიღასაც ძებნა დაუწყო და უცბად მაღალის ხმით შესძახა:

—გიორგი!

—სჩას!—მისცა ხმა ლაქიამ.

მე ვიგრძენ, რომ, რასაც ის ახლა ლაქიას ეტყოდა, მე შემეხებოდა. ერთი პირობა კიდეც დავაპირე წასვლა, მაგრამ გადავიფიქრე და ჩემს ადგილს არ მოვშორდი.

ლაქია მივიდა და ყმაწვილმა ხმით რაღაცა უჩურჩულა. ლაქიამ შემომხედა, თავი დაუქნია, გამოტრიალდა, მომიახლოვდა და თავაზიანის ხმით მითხრა:

— ბატონო, თუ უკაცრავად არ ვიქნები, აის ყმაწვილი გთხოვთ, პატარა ხანს აქ მობრძანდითო.

მე გავიკვირვე, თუმცა უარესს მოველოდი.

— კარგი, მაგრამ... მე ვერ ვიცნობ, ვინ არის? ვკითხე ლაქიას.

— აქაურია, თავადიშვილი, კაი ყმაწვილია, მთვრალი ქეა, მარა, ბატონო, თქვენ არაფერს დაგიშავებთ!

ავდექი და გაკვირვებულის სახით ყმაწვილისკენ გავემართე, მაგრამ იმან აღარ დამაცალა, ზეზე წამოვარდა და წინ მომეგება.

— უკაცრავად, მაპატიეთ ეს თავხედობა—მითხრა იმან ღიმილით—გთხოვთ მიცნობდეთ, ფიანიძე გახლავართ. უნდა გამოგიტყდეთ, რომ ამას სრულებით არ მოველოდი, მე მეგონა, თქვენ ლაქიას ფეხებს დაუბრახუნებდით და გამოაგდებდით. მაგისთანა მაგალითები ბევრი მინახავს, მაგრამ თქვენ მიკადრეთ მე... მადლობას მოგახსენებთ. გატყობთ, მატარებელს უცდით და მოწყენილი ბრძანდებით, მობრძანდით, თითო ჰიქა ღვინო დავლიოთ—ამ სიტყვებით თავაზიანად მამხვია ხელი და მაგიდასთან მიმიყვანა.

რაღაცა წავიბუტბუტე და ორივ მაგიდას მივუსხედით.

— აბა, რას მიირთმევთ?... გიორგი!—დაიძახა იმან და თეფშებს რახა-რუხი აუყენა—აბა ჩქარა ღვინო!

— ამ საათში, ბატონო—შორიდან მისცა პასუხი ლაქიამ.

— იმედია, თქვენ, როგორც მთვრალ კაცს, ისე არ დამიწყებთ ყურებას. მთვრალთან არაფრის ლაპარაკი არა ღირსო. უნდა იცოდეთ, რომ მთვრალი კაცი თავისებურად აზროვნობს და სჯის. მხოლოდ ეს არის მის ნალაპარაკევს თავსა და ბოლოს ვერ გაუგებთ. მთვრალის ნალაპარაკევი მსმენელმა უნდა შეავსოს ... აბა, გიორგი,—მიუბრუნდა ის ლაქიას, რომელმაც ღვინო მოიტანა და ჩვენ თვალის წინ ხსნიდა—ეს სუფრა მიალაგ-მოალაგე, მოასუფთავე და ახალი სუფრა გაგვიშალე. საჭმელი მოიტანე, რაც შენი სურვილი იყოს. აბა ჩქარა, გულს არ დამაკლო. უნდა მოგახსენოთ,—დაასხა იმან ორი ჰიქა და ისევ მე მომიბრუნდა—უნდა მოგახსენოთ და აგიხსნათ, რად გავბედე და რად მოგმართეთ. ფიზიანომისტი და პსიხოლოგი არა ვარ, მაგრამ იმ ერთ შეხედვაში, რომლითაც მე ღირს მხდიან, გვერდზე რომ გამივლიან, მე ადამიანსა ვსცნობ, შემიძლიან ის ადამიანი დავასურათო, დავახასიათო. არა გჯერათ? აბა, შეხედეთ აი იმ ცოლ-ქმარს—მიმითითა იმან ერთ კუთხისკენ, სადაც ყმაწვილი ქალი და კაცი ერთად ისხდნენ და ყავასა სვამდნენ—მე და ისინი ერთი საათია ერთი-ერთმანეთს ვუბღვერით. ცოლი ზიზღით მიყურებს, ქმარი—შიშით. ქალი ჰფიქრობს, რომ მე ვარ ტყის ნადირი, მხეცი, გაფუჭებული არსება, რომლისგანაც მუდამ წამს ყოველ-ნაირ სისაძაგლეს უნდა მოელოდეს კაცი! ახლა დააკვირდით ქმარს: ეტყობა, დიდ შიშშია ჩავარდნილი,—უცბად არ წამოვდგე და იმის ცოლის თვალ წინ ყირამალა არ გადავიარო, ან არ მივიდე, ნიკაპზე ხელი არ მოვკიდო და ტუჩებში არ ვაკოცო! გმმ... დაიგმინა იმან და ცოლ-ქმარს მტრულის თვალით გადახედა.—მერე რათა? იმიტომ, რომ ჩოხაში ვარ გამოწყობილი!.. საკვირველია, ღმერთმანი. ჩინელი დიპლომატი ჩინელის ტანისამოსში—დიპლომატია, იაპონელი ოიამა იაპონურ ტანისამოსში—ოიამაა, ქართველი კი ქართულ ტანისამოსში—მხეცია. სამედიცინო ფაკულტეტის ერთი სტუდენტი ოცნებობდა: როცა სწავლას გავათავებ, ჩოხაში ვივლი და ისე ვიექიმებო, მაგრამ ამხანაგებმა ურჩიეს და სამართლიანადაც ურჩევს, მაგას ნუ იზამ, თორემ არც ერთი ავადმყოფი ახლოს არ მიგიკარებსო. ამას წინად ქალაქში „კონკით“ მივდიოდი, „კონკა“ ხალხით იყო გაჭედილი, ერთის ქალს ადგილი არა ჰქონდა და საფეხურზე იყო გაჩერებული. მე წამოვდექი და ჩემი ადგილი დავუთმე. უნდა გეყურებინათ იმ ქალის გაკვირვება! თავის თვალებს არ უჯერებდა, რომ მე, ჩოხიანმა მხეცმა, თავაზიანობა გამოვიჩინე... მიირთვით ღვინო—უცბად შესწყვიტა იმან და ჰიქას ხელი მოჰკიდა—ეს ღმერთ აცოცხლოს ის ადამიანი, რომელიც მუდამ რაღაცას ეძებს, ნაგავს გვერდს არ აუვლის და მარგალიტს ძებნას დაუწყებს, მარგალიტებში კი ნაგავს აღმოაჩენს... თქვენ ის კი არ იფიქროთ, რომ ეს მარგალიტი მე ვარ, მე მინდა ვსთქვა.., საზოგადოდ, ვინც...

— მესმის, კარგად მესმის, რაც გინდოდათ გეთქვათ,—გამეცანი მე,

— ხომ გესმით? აი, ხომ მოგახსენეთ, მთვრალის ლაპარაკს სხვანაირი გაგება უნდა-მეთქი. ხომ იცით, ძველ საბერძნეთში დელფოის მკითხავი, პითია, ზედადგარზე რომ იჯდა და რაღაცეებს როტავდა, მთვრალიც სწორედ ის პითიაა. საზოგადოდ, ჩემის აზრით, გონება განვითარებულმა ადამიანმა ყველას უნდა მიუსმინოს—ლოთსაც, ყაჩაღსაც, გარყვნილსაც, გლეხკაცსაც და პროფესორსაც, თუ უნდა რომ ცხოვრება სავსებით შეისწავლოს. არც ერთი კაცი არ არის, რომ ყოველნაირ საგანზე საკუთარი მსჯელობა არა ჰქონდეს. მხოლოდ განსხვავება იმაშია, რომ ზოგი საგანს შორიდან უვლის, ბუნდოვანი სიტყვებით აჭრელებს, ბევრს ზედმეტ წინადადებას ჩაურევს, ზოგი კი იტყვის უბრალოდ, მოკლედ და მარტივად. საზოგადოდ მარტო წიგნებზე აღზრდილი კაცისა მე არაფერი მრწამს. ქვები, მცენარეები, ადამიანი, მთელი ბუნება კაცმა ცხოვრებაში უნდა შეისწავლოს და არა წიგნებში—წიგნებში თითქოს ზღაპრებს ჰკითხულობო და აბა რა უნდა იყოს ზღაპრებზე აღზრდილი ვაჟკაცი? კიდეც ამიტომ ჩვენ ინტელიგენციისა არა გვესმის-რა და ჩვენი—იმათ. კაცმა შენი თვალით უნდა ნახო და ნანახი შენი ჭკუით უნდა შეიმუშაო, თუ გინდა რომ საგანზე სწორე მსჯელობა გქონდეს. რად გინდა ბოტანიკა, თუ შენს სიცოცხლეში უბრალო ყაყაჩოც კი არ გინახავს? რად გინდა თეორია დარვინისა. თუ ფუნე არ გაგიჩიჩქნია და შიგ ჭიები არ გინახავს? შეხედეთ, რამდენი მილიონი ხალხია დედამიწაზე და, აბა, თუ ერთი-ერთმანეთის მსგავსსა ნახავთ, ყველას თავისი სახე აქვს. აბა ერთის წამს წარმოიდგინოთ, რომ თქვენ ადამიანის სახე არ გინახავთ; მხოლოდ აუარებელი რომანი წაგიკითხავთ, გექნებათ სწორე წარმოდგენა ადამიანის სახეზე? თავი ხომ არ შეგაწყინეთ, უცნაურის ღიმილით მკითხა იმან,—გმადლობთ. ყველა ეს იმიტომ მოგახსენეთ, რომ ბოლოს ჩემს თავზე გადავსულიყავ და ჩემს ბედ-იღბალზე შემომეჩივლა: მე ვეკუთვნი ჩვენი ყმაწვილების იმ ჯგუფს, რომლებიც იძულებულნი არიან მე-5—6 კლასიდან გამოვიდნენ, ჩოხა ჩაიცვან და სოფლად წა-

ნენ, წართმეულ საქონელს, ან ფანტავენ: და ჰყიდნენ (ბ. ი.).

„დელი ტელეგრაფს“ დეპეშით ატყობინებენ, უკანასკნელ ხანებში აქა-იქ რუსთა პატარ-პატარა რაზმები ჩნდებიან. ეს რაზმები „იაპონელებს ან სულ არ უწევენ წინააღმდეგობას, ან-და რამდენჯერმე თოფის გასროლის შემდეგ ტყვედ ნებდებიან. ამბობენ, ლინევიჩმა თავის ჯარს ჩანჯუნთან მოუყარა თავიო (რ. ს.)

იმავე გაზეთს ტოკიოდან ატყობინებენ: რუსები გირინსა და ჩანჯუნთან მაგრდებიან. პოზიციებს დღე და ღამე ამაგრებენ. იაპონელები ერთ ალაგიდან მეორეზე საოცარის სისწრაფით გადადიან და მთავარ ჯარსაც იქ უყრიან ავსთნ სადაც საჭიროა. რუსების უკანა ჯარმა სუსტი წინააღმდეგობა გაუწია იაპონელებს: ზოგმა თავი დააღწია და გაიქცა, უმეტესი ნაწილი კი იაპონელებმა დაატყვევეს. იაპონელები გირინისკენ მიისწრაფიან და სრული იმედი აქვთ, რომ რუსების სიმაგრეთა პირველ რიგს ამ ცოტა ხანში აიღებენ (რ. ს.).

„რუს“-ს გუნჯულინიდან დეპეშით ატყობინებენ: აქ ამტკიცებენ, რომ გენ. ნოგის ჯარი ჩვენს ჯარს შორიდან უვლის და რამდენისამე დღის შემდეგ გზას მოგვიჭრისო. იაპონელებს აუარებელი ხუნხუზი და მონგოლი სთხოვს, სამსახურში მიგვიღეთო. იაპონელებმაც მიიღეს, ცხენოსანთა რაზმები შეადგინეს და სხვადასხვა საქმის გაკეთება ჩააბარეს. ხუნხუზებმა, სხვათა შორის, რკინის გზა უნდა ააფეთქონ, ყაზახებს შეებნენ, აქეთ-იქით ითარეშონ, რუსებს საქმე გაუჭირონ და ადგილები დაზვერონ. ხუნხუზები და მონგოლები მშვენიერი ცხენოსნები არიან, არც სიმამაცე აკლიათ, არც ამტანლობა, არც სიმარდე და ბევრ რამეში ყაზახებსაც სჯობნიან. რუსეთის ბიუროკრატია რომ ამ ხალხს თავის დროზე ადამიანურად მოპყრობოდა და იმათი ქვეყანა არ აეკლო, აეწიოკებინა და აეოხრებინა, ეხლა ჩვენ ეს დღე არ დაგვადგებოდა: ჩინელებიცა და ხუნხუზებიც ჩვენს მხარეს დაიჭერდნენ და დიდ სარგებლობასაც მოგვიტანდნენ, მაგრამ სად და როდის გაუკეთებია ბიუროკრატიას კეთილი საქმე, რომ ეხლა გაეკეთებინოს. მონგოლებს იაპონელთა მეგობრობა ძალიან უხარიანთ, მეგობრობას, ძმობას ეფიცებიან, წინაპართა გმირობას იგონებენ და დიდის ხალისით მიდიან ომში (რ.).

იაპონელების აზრი კუროპატკინის შესახებ. „ტაიმს“-ს ტოკიოდან დეპეშით ატყობინებენ: იაპონელები კუროპატკინს პატივს სცემენ და თანაგრძნობით იხსენიებენ იმისს სახელს. იაპონელები კუროპატკინს ადმირალს ალექსეევს ადარებენ და ამბობენ, ალექსეევი ამ ომის გამოწვევას ხელს უწყობდა და გამოიწვია კიდევაც. მერე კი, როცა ბრძოლის ველიდან გაიქცა, პეტერბურგში გენ. დრაგომიროვი და ამგვარი დახავსებული ბობოლა ბიუროკრატები მოიმხრო და და გენ. კუროპატკინის წინააღმდეგ ინტრიგები დაიწყო. დრაგომიროვმა და ალექსეევმა კუროპატკინი გამოაგდეს და ომს თვითონ ჩაუდგნენ სათავეში, მაგრამ ვაის გავეყარე, უის შევეყარეო: ამას იქით რუსებს უარესი მოუვათ (ნ.).

კუროპატკინის მუქარა. „რუსკოე სლოვო“-ს გუნჯულინიდან დეპეშით ატყობინებენ: კუროპატკინი ხარბინიდან უკანვე დაბრუნდა, თავისი ჯარი დაათვალიერა და სიტყვა წარმოსთქვა. კუროპატკინმა სთქვა: გვეყო ამდენი შერცხვენა და დამცირება; ამას იქით იაპონელებს სამაგიერო უნდა გადავუხადოთ და შური ვიძიოთო.

კუროპატკინს სექტემბერშიაც ამას იძახოდა, მაგრამ ამ მუქარას შახესთან დამარცხება და მუკდენთან განადგურება მოჰყვა (რ. ს).

გირინის მნიშვნელობა. გირინს რუსებისთვისაც და იაპონელებისთვისაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომაც არის, რომ რუსები ცდილობენ გირინი ხელიდან არ გაუშვან, მაგრამ ეს ცდა ტყუილია: გირინი რკინის გზაზე 120 ვერსითაა დაშორებული. რუსებს კი უნდათ გირინიც შეინარჩუნონ და რკინის გზაც მაგრამ ეს შეუძლებელია, რადგან საკმაო ჯარი არა ჰყავთ. თუ რუსებმა მაინცადამაინც არ დაიშალეს და გირინის შენარჩუნება სცადეს, იაპონელებს ძალიან გაუხარდებათ, რადგან რუსეთის ჯარის დამარცხება უფრო გაუადვილდებათ (ნ.).

სამხედრო საბჭო. „ეკო დე-პარი“-ს პეტერბურგიდან ატყობინებენ: რადგან სამხედრო დასმა (გენ. დრაგომიროვმა, ალექსეევმა და სხ.) საბოლოოდ ჩაიგდეს ხელში ომის ბედი, ამიტომ მოსალოდნელია, რომ ამ მოკლე ხანში ომის გეგმაც ძირიან-ფესვიანად შეიცვლება. დანამდვილებით გვიგე, რომ ამ ცოტა ხანში დაარსებულ იქნება სამუდამო სამხედრო საბჭო, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ გენ. დრაგომიროვი, დოხტუროვი, ალექსეევი, დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე და სხ., მაგრამ ყველამ იცის, რომ სამუდამო სამხედრო საბჭო უკიდურესი ბიუროკრატიული დაწესებულებაა. ისტორიამ სამუდამოდ დაჰგმო სამხედრო საბჭო. ყველასთვის ცხადია, რომ ამგვარ შევიწროვებულ და ცენტრალისტურ დაწესებულებას საქმის დაღუპვის მეტი არა შეუძლიან-რა. გერმანელები იენასთან სამხედრო საბჭომ დაამარცხა, ფრანგები სედანთან-იმავე საბჭომ გაანადგურა.

რუსეთში ცნობილი სამხედრო საქმის მცოდნე პროფესორი ლეერი ამ საბჭოს შესახებ სწერს: სამხედრო საბჭოს შეადგენს ათასნაირ ხელობის დასი: მინისტრები, აფიცრები, ქალები და ისეთი კაცები, რომელთაც სამხედრო საქმისა არა ესმით რა.

საფრანგეთის გამოჩენილი ისტორიკოსი ტიერი სწერს: შეიკრიბებიან უვიცი და არაფრის მცოდნე მინისტრები, პრინცები, მთავრები, ქალები და ლაპარაკობენ, როგორ გადავარჩინოთ სამშობლო, როგორ დავამარცხოთ მტერიო და სხვა ამნაირი ბრბო სახელმწიფო, საპოლიტიკო და სამხედრო საქმეებს განაგებს. საკვირველი კი არა, სასწაული იქნება, რომ ამ დაწესებულებამ გააკეთოს რამე.

აქამდის ამბობდნენ, რუსეთი იმიტომ მარცხდება, რომ ომს სათავეში უვიცი და მძინარა ბიუროკრატია უდგასო. ეხლა კი საქმის გასასწორებლად ბიუროკრატიამ ბიუროკრატთა ბიუროკრატნი გამოსძებნა და საქმის გასწორებაც ამათ მიანდო! (რ.).

მომავალი ბრძოლა ზღვაზე. სახღვაო საქმის მცოდნე ინგლისელები ამბობენ, იაპონია ძლიეან კარგად მოიქცა, რომ როჟესტვენსკის მოსაძებნად თავისი ფლოტი ინდოეთის ოკეანეში გაგზავნაო.

ზოგნი ამტკიცებენ, იაპონიის ფლოტი სულაც არ წასულა ინდოეთის ოკეანეში, ზონდის სრუტეს დარაჯობს და როჟესტვენსკის იქ ელისო; ზოგნი კი ამბობენ, ტოგოს ესკადრა ინდოეთის ოკეანეშია და დღეს, თუ ხვალ, როჟესტვენსკის შეხვდებაო (რ).

ინგლისში ხმა გავრცელდა, ინგლისის მთავრობამ 11 მარტს კუნძულ მავრიკიის გუბერნატორისგან დეპეშა მიიღოო. გუბერნატორი იტყობინება, ადმ. როჟესტვენსკის ესკადრა ტოგოს ესკადრის მოწინავე ნაწილს შეხვდა და იერიში მიიტანაო. შედეგი ბრძოლისა არ იციან. (რ.).

ვლადივოსტოკი. „რუს. სლ.“-ს ვლადივოსტოკიდან ატყობინებენ: საქონელი ერთი ათად გაძვირდა. ქათამი 9 მანათად ღირს, 1 ფუთი კარტოფილი—2 მან., მარილი—4 მან. და სხ.; ხმა გავრცელდა, შორს ზღვაში იაპონელთა 11 დიდი გემი გამოჩნდაო. ეს გემები ტრანსპორტებს იცავდნენ. 60 ათასი იაპონელი ნაპირზე გადმოვიდა და ვლადივოსტოკისკენ მოდიან (რ.).

გერმანიის იმპერატორის აზრი. გერმანიის იმპერატორმა, რომელსაც ყველაზე ძალიან ყვითელ-კანიანებისა და სოციალისტების ეშინიან, ევროპის ყველა სახელმწიფოს (ინგლისის გარდა) უნდა სთხოვოს, შევერთდეთ და იაპონიას აზიაში გავლენა დავუკარგოთო (რ.).

სხვადასხვა ამბები. ოფიციალურ სამხედრო გაზეთ „რუს. ინვლ.“-ში სწერია: ომის დაწყებიდან ამ წლის 27 თებერვლამდე მანჯურიის რკინის გზამ ბრძოლის ველზე გადაიყვანა და გადაიტანა: 13,087 აფიცერი, 761,467 სალდათი, 146,408 ცხენი, 1521 ზარბაზანი და 20 მილიონამდე ფუთი სხვადასხვა საქონელი.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ომის დასაწყისს შორეულ-აღმოსავლეთში 100 ათასი სალდათი იყო, გამოვა, რომ ომის დასაწყისიდან ბრძოლის ველზე თითქმის ერთი მილიონი კაცი გასულა.

ბიუროკრატები კორესპონდენტებს სულ უბრალო დეპეშის გამოგზავნის ნებას არ აძლევენ „სამხედრო საიდუმლოების“ დასაცავად, თვითონ კი ერთ უდიდეს სამხედრო საიდუმლოებას ოფიციალურად აცხადებენ (რ.).

ამბობენ, ამ მოკლე ხანში კავკასიიდან ორ კორპუსს (65 ათას კაცს) გაიწვევენ ბრძოლის ველზეო (რ. ს.).

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი, 18 მარტი. დღეს, დილის 11 საათზე, ოთხმა შეიარაღებულმა კაცმა წაართვა ტფილისის ქუჩაზე 7000 მანათი სადგურის უფროსის თანაშემწეს მერკულოვს, რომელსაც ეს ფული ხაზინაში მიჰქონდა. ოთხივე კაცი მიიმალა, მაგრამ მალე დაიჭირეს და წართმეული ფულიც უნახეს სრულად.

სამღვდელოების კრება თანდათან საინტერესო ხდება; კრებაზე თანამედროვე საკითხებს არკვევენ.

ახალი ამბავი

კახეთიდან გვატყობინებენ, სოფ. საგარეჯოში **გლეხთა მოძრაობა დაიწყოო.**

✦ როგორც ქართლიდან გვატყობინებენ, გლეხების დასამშვიდებლად **გუშინ გომში მისულა 120 ყაზახი**, ოთხის აფიცრით.

✦ ტფილისის გუბერნატორმა ნება **დართო თავად-აზნაურთა საგანგებო კრების მოწვევაზე.** კრება 31 მარტისთვის დაინიშნა.

✦ ტფილისის **ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსად დაინიშნა** კალუგის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსი ბ-ნი ზაიცევი.

✦ 16 მარტს **ბ-ნ სარაჯიშვილის** (ხუბლაროვსეულს) ქარხნის მუშები ეზოში შეიკრიბნენ და მექარხნე მოსთხოვეს, სამუშაო დრო შეგვიმცირეო. 16 მარტამდე სამუშაო დღედ დაწესებული იყო 10 საათი და 10 წ.

18 მარტიდან ხსენებულ **ქარხანაში რვა საათის სამუშაო დღე დაწესდა.**

✦ ყარსის რკინის გზის მეშვიდე ნაწილის **მომუშავე-მოსამსახურეებმა (300—400 კაცმა)** ეს სამიდღეა, **მუშაობაზე ხელი აიღეს** და რკინის გზის უფროსს მოსთხოვეს სამუშაო დროის შემცირება, ჯამაგირების მომატება და სხვა.

✦ გასულ ოთხშაბათს თითქმის ყველა სტამბის მომუშავეებმა მოილაპარაკეს და, სხვათა შორის, გადასწყვიტეს, მესტამბეებს სამუშაო დრო შეამცირებინონ. „ტფილისის ფურცლის“ სტამბაში 18 მარტიდან უკვე **რვა საათი** სამუშაო დღე დაწესდა. მუშებმა სასურველადა სცნეს ზედმეტ მუშაობის მოსპობა.

✦ **ტფ. ელექტრონის ტრამვაიზე მოსამსახურეებმა მიმართეს ქალაქის მოურავს თხოვნით** და აუწყეს, მუშაობა ერთი-ორად მოგვემატა, სამსახურის პირობები აუტანელია და ჩვენთვის არავინ ზრუნავს, რომ მდგომარეობა გაგვიუმჯობესოსო; ამიტომ გთხოვთ, მონაწილეობა მიიღოთ ჩვენის სვე-ბედის გაუმჯობესების საქმეში და გვიშუამდგომლოთ, რომ ნება მოგვეცეს, ერთად შევიყარნეთ მოსამსახურენი ჩვენის საჭიროების შესახებ მოსალაპარაკებლადაო.

✦ შულავერიდან გვატყობინებენ, რომ ალავერდის სპილენძის ქარხნებში **მუშათა შორის დიდი მღელვარებაა.** ქარხნებში მხოლოდ სომხები და თათრები მუშაობენ. შიშობენ, ვაი თუ ისეთივე შეტაკება მოუხდეთ, როგორც ბაქოში იყო, და ამიტომ ადმინისტრაცია შუამდგომლობს, რომ ქარხანა ჯარის კაცებმა დაიცვან.

✦ „ნოვოე ობოზრ.“-ს ბათუმიდან დეპეშით ატყობინებენ, რომ 16 მარტს **ბათუმში ომიანობის დროის წესები გამოცხადდაო.**

✦ განზრახვა აქვთ **ტფ. პოლიციელებს რევოლვერით სროლა** კარგად **შეასწავლონ.** ვინც პოლიციაში სამსახურს მოისურვებს, ჯერ გამოსცდიან, კარგი სროლა იცის თუ არა, და ისე მიიღებენ სამსახურში.

✦ გუშინ, საღამოს ათ საათზე, **ნაძალადევში** წყლის მილის ქუჩაზე რევოლვერით **დასჭრეს მეეზოვე** (დვორნიკი). ტყვია თეძოში აქვს მოხვედრილი. რევოლვერის მსროლელი მიიმალა. დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

✦ ხუთშაბათს, 17 მარტს, ღამის 1 საათზე, **როსტომოვის სადგომში**, პუშკინის ქუჩაზე, თავ. ბეგთაბეგიშვილის სახლში, **შესულა ორი ნიღაბ-ჩამოფარებული კაცი.** ერთ მათგანი ცალხელში რევოლვერით და მეორეში—დანით მისულა როსტომოვთან, რომელიც ამ დროს ვახშამსა სჭამდა, და უთქვამს: არ გაინძრე, თორემ ეხლავე მოგკლავო. მეორეს ამ დროს გაუჩხრეკია როსტომოვის სახლი და, რაც რამე ფული და ნივთი ჰქონია, ყველაფერი წაურთმევია. შემდეგ ქურდებს შეუკრავთ თოკით როსტომოვი და მისი მოსამსახურე, ელისაბედ გოლანისა, სანთელი ჩაუქრიათ და წასულან. ქურდებს წაუღიათ ფულად 518 მან. და 74 მანათის ნივთი. გამოძიება სწარმოებს.

✦ საქართველოს ეგზარხოსის განკარგულებით, ქართლ-კახეთის სინოდის კანტორამ სთხოვა ტფილისის გუბერნატორს—ქართლ-კახეთის ეკლესიებისა, სასულიერო სკოლებისა და საერთოდ **სასულიერო უწყების დაწესებულებათა დარაჯასასებს იარაღის შეძენის ნება-რთვა** მიეცით, რადგან ეს დაწესებულებანი ამ ბოლო დროს საშიშ მდგომარეობაშიაო.

✦ დეკანოზი იოან. ვოსტორგოვი ამჟამად ექვ. ხელაძის სტამბაში **აბეჭდვინებს რუსულ-სომხურ კონდაკს**, რადგან საჭიროდ დაუნახავს, რომ ერევნისა და ბაქოს გუბერნიებში გამართლმადიდებულ სომხებისთვის წირვა-ლოცვა მათ სამშობლო ენაზე სწარმოებდეს.

✦ დეპუტატის ახუნდოვის მაგივრად, რომელმაც უარი განაცხადა პეტერბურგში წასვლაზე, 17 მარტს **საბჭომ აირჩია პოლკოვნიკი მამედბეგ ვექილოვი**, რომელიც თვით მუსულმანებმა დაასახელეს. ვექილოვი ამ დღეებში პეტერბურგს გაემგზავრება.

✦ სომეხთა სასულიერო მთავრობას განზრახვა აქვს თავიანთ სასულიერო **სემინარიისათვის ახალი შენობა** აგოს ვანქის ტაძრის პირდაპირ.

✦ როგორც გადმოგვცეს, სამტრედიასა და ხონს შუა განუზრახავთ **ორთქლ-მავალ ტრამვაის ლიანდაგის** გაყვანა. უკვე შემდგარა ამხანაგობა და პროექტსაც ადგენენ.

✦ როგორც შევიტყეთ, ქართლის რამდენსამე სოფელს განუზრახავს საჩივარი აღძრას საგუბერნიო საბჭოში და სახელმწიფო გარდასახადთა საკრებულოში ამ სოფლებზე ხარჯების უკანონო გაწერის შესახებ; გლეხები თხოულობენ, რომ დაინიშნოს მთავრობის წარმომადგენელთა და გლეხთაგან კომისია ადგილ-მამულების შესაფასებლად და **შემოსავლის რაოდენობაზე გასწერონ** გარდასახადები.

✦ ხუთშაბათს, 17 მარტს, ტფილისის ქალაქის საბჭომ **გაარჩია შუამავლობა ტფილისის სახალხო ლექციების გამგე საზოგადოებისა.** ამ საზოგადოების აზრით, ბაქოში მომხდარი საზარელი ამბები შედეგია ხალხის უმეცრებისა და განუვითარებლობისა. თუ რა ცუდ მდგომარეობაში იმყოფება კავკასიაში სახალხო განათლება, საკმარისია ავნუსხოთ ოფიციალურ ცნობები სწავლა-განათლების შესახებ. მაგალითად: **მხოლოდ თითო პირველ-დაწყებითი სკოლა მოდის 3600 რუსზე, 4800 ქართველზე, 5400 სომეხზე, 17,300 მაჰმადიანზე და 11,400 მთიულეთზე.**

საზოგადოება სთხოვს ტფილისის ქალაქის საბ-

ვიდნენ. მეც სიამოვნებით გამოველ სკოლიდან, სიამოვნებით ჩავიცვი ჩოხა და სიამოვნებით მივაშურე სოფელს. გლეხკაცი ბავშობიდანვე მიყვარდა, მიყვარდა მისი მუშაობა, პურის ჭამა, სევდიანი ლაპარაკი, ნაძალადევი ოხუნჯობა, მისი სიმთვრალე, მისი მაზარის სუნიც კი. მივაშურე სოფელს. ყმაწვილი ვიყავ, კეთილი, უმანკო, გაუფუჭებელი. ყოველი უსამართლობა ჩემს ნორჩ გულს ზღვასავით აღელვებდა და მზად ვიყავ ერთის ხელის მოქნევით ბოროტება ქვეყნიერობაზე მომესპო. შებრალება მქონდა და ვფიქრობდი გლეხისთვის ტანჯვა შემემცირებინა, მინდოდა მისი სიყვარული, ქება-დიდება დამემსახურებინა. ისეთს ძალასა ვგრძნობდი, რომ მეგონა ქვეყნის გადაბრუნებას შევიძლებდი, მაგრამ... გავიდა ორი, სამი, ხუთი წელიწადი და ყველა ეს გრძნობები ჩაჰქრენ ჩემს გულში. ამჟამად არაფერ საქმეს არ ვაკეთებ და სხვასთან ერთად უსინდისოდ და შეუბრალებლად მეც ვძარცვამ და ვგლეჯავ გლეხკაცს? როგორ მოხდა ეს? რად დამემართა ეს საქმე? რაში ვეძებო ამის მიზეზი, ჩემში თუ მიმდინარე ცხოვრებაში,— მე არ ვიცი. ეს კი ვიცი, რომ სულის სიმშვიდე დავკარგე. ერთი მეგობარი მყავს, ისიც ყმაწვილია და მემამულე, აი, ის ბედნიერი კაცია, მთელი თავისი არსებით ის საქმეს მიეცა და თუმცა ეს მისი ბუნების წინააღმდეგია, მუშაობა მისი ნაძალადევია და გზადაგზა აუარებელი უსამართლობა წინ ელობება, თავისას მაინც არ იშლის, ენერგიულად მუშაობს და სულის კმაყოფილებას საქმის წინ-სვლასა და ზოგიერთ მის კარგს მხარეში ჰპოვობს. მე კი... არ შემიძლიან... აქ ყმაწვილი შეჩერდა, ხელის გულზე დაეყრდნო და, როგორც ეტყობოდა, თავი მწარე ფიქრებს მისცა.

ერთხელ გლეხებს მიწები დავუზომე და სია შევადგინე. როგორც აღმოჩნდა, ერთ გლეხს ნაღელი და სალალე მიწები შვიდი დღისა სჭერებია, ათი დღისას კი იხდიდა. დავიბარე ის გლეხი და შემდეგი საუბარი გავმართეთ: —რამდენი დღის მიწა გიჭირავს შენ?—ათისა, ბატონო.—ათისა კი არა, შვიდისა გიჭირავს!—გაკვირვებული შემომხედა.—ფულს რამდენს იხდი? 7 თუმანსა და ათ შაურს.—შენ უნდა იხდიდე ოთხ თუმანს, ცხრა მანათსა და ათ შაურს.—ისევ ის გაკვირვება სახეზე.—ამას იქით, ჩემო მიქელა, შენ ეს ფული უნდა იხადო. რასაც წინად იხდიდი, უსამართლოდ გხდებოდა!—მადლობელი ვარ, შენი ჭირიმე.—როგორც იყო სთქვა იმან.—წადი ეხლა და ამას იქით იცოდე.—ის არ მიდიოდა და ერთ ალაგას ტოკავდა.—სხვა ხომ არაფერი საქმე გაქვს, მიქელა?—დიახ.—სთქვი—ეუთხარი მე და თან გავიფიქრე, ალბად იმას მეტყვის, რომ, რაც აქამდისინ უსამართლოდ ზედ-მეტი ფული უხდია, შემდეგში გამოვუხარო-მეთქი, და გულში კიდეც გადავსწყვიტე, ეს სამართლიანი მოთხოვა დამეკმაყოფილებინა.—აბა რას იტყვი? შევეკითხე კიდევ.—შარშან რო გარდასახადი ჩავაბარეთ, ნახევარი რომ გასულ მაისში მოგართვი, იმისი კვიტანცია მაქვს, გიორგობისთვეში კი რომ ჩავაბარეთ, იმისი არაფერი ქაღალდი მიჭირავს და იმისი კვიტანცია უნდა მიბოძო!—როგორ, მიქელა, განა შენ იმისი შიში გაქვს, რომ შარშანდელს გარდასახადს ხელმეორედ გადაგახდევინებ?!.—ვინ იცის, ბატონო, კაცს სიმართლე ხელში უნდა ეჭიროს!—ჩემი მეგობარი ამაზე გაიცინებდა, კვიტანციას დაუწერდა და ამით საქმე გათავდებოდა, მე კი.. მე იმ გლეხის სიტყვები ეხლაც ყურში მიწივის. ჩაუკვირდით ამ სიტყვებს. ეს სიტყვები გლეხკაცის მთელი ისტორიაა. რას არ ამოიკითხავთ ამ სიტყვებში? ეს მე უბრალო მაგალითი მოგიყვანე, რომ თქვენ შეგეძლოთ წარმოიდგინოთ, ყველა ის უსამართლობა, დამცირება, დაჩაგვრა, სიტყვითა და საქმით შეურაცხყოფა, ცარცვა-გლეჯა, სულის დამონავება, შეხუთვა, რომელიც ბევრი ჩემთვის მოუყენებიათ და ბევრი მეც სხვისთვის მიმიყენებია. ერთნაირი თამაშობაა, მგონი, „გადაცემიანობას“ ეძახიან, ყმაწვილი ქალი და კაცი ირგვლისად სხდებიან, ერთი ვინმე გვერდზე მჯდომს ხელს წაჰკრავს, ან რასმე წასჩურჩულებს, ან აკოცებს და ეტყვის: გადაეცი. იმანაც თავის მხრივ, რაც მიიღო, გვერდზე მჯდომს უნდა გადასცეს და; ასე ამნაირად გადმონაცემი მთელ წრეს შემოივლის. ჩვენი ცხოვრება ამ თამაშობასა ჰგავს. გაიგეთ რამე ჩემი ნალაპარაკევისა?—საცოდავის ღიმილით მკითხა უცბად ყმაწვილმა—რა ვქნა, ჩემი სულის მოძრაობის გადმოცემა სხვაფრივ არ შემიძლიან. იცინით გულში განა? იცინეთ, მაგნაირ სიცილს შეჩვეული ვარ, არა მწყინს!—ამ სიტყვებით გაიმსო დიდი ჩაის ჭიქა და პირთან მიიტანა—ღმერთმა გაკოცხლოთ—სთქვა იმან და ძირამდე დაცალა, დადგა და საზარლად გაიძაგინა.—მიირთვით ღვინო, თუ გესიამოვნებათ, რასაკვირველია, მე კი... ღვინო მეჯავრება... როგორც თქვენ, დარწმუნებული ვარ, ხინა გეჯავრებათ... ღვინოს რომ დასალევად ხელს მოვკიდებ, გამაძაგინებს და ზიზღი მერევა... ვსვამ დიდის გაჭირვებით... მაგრამ მაინც ვსვამ...

დილით, დათრობის შემდეგ, რომ გამომელვიძება, ჩემი თავი მძაგს, მეჯავრება, იმ წამს მზადა ვარ თავი მოვიკლა და თუ არ ვიკლავ მხოლოდ იმიტომ, რომ არ მინდა საზიზღარი მოვკვდე. მაგონდება ჩემი ქცევა, არეული სახე, დამცირება, უადამიანობა და, რომ არ შემიძლიან პირდაპირ ჩემს სახეს მივაფურთხო, წინ დაყენებულ სარკეს მივაფურთხებ ხოლმე, მაგრამ... ისევ ვსვამ, ისევ ვითვრები, ისევ ვაფურთხებ სარკეს. ამასაც არ დაიჯერებთ და ამაზედაც გაიცინებთ. ჩვენი უბედურება ერთი კიდევ ის არის, რომ ინტელიგენციისაგანაც შერისხული ვართ და გლეხებისაგანაც. ჩვენ ვართ ღამურა, რომელიც ფრინველებშიაც მოსწყდა და ცხოველებშიაც ადგილი ვერ იპოვნა. ჩვენ ვართ ის კაცი, რომელიც სახლში სკამს ვერ იპოვნის, რომ დაჯდეს, ლოგინს ვერ იპოვნის, რომ უწვეს, არავინა ჰყავს გვერდით, რომ ხმა გასცეს და არა აქვს წიგნი, რომ წაიკითხოს. ამნაირი კაცი ივლის ოთახში, იფიქრებს, იფიქრებს და... ჭკუაზე შესცდება!... გიორგი.. ღვინო!—დაიყვირა იმან მაღალის ხმით და მაგიდას ღონივრად მუშტი დაჰკრა. ყველა შეკრთა და თავი ჩვენსკენ მოიღო. მე დამშვიდება დავუწყე.

— უკაცრავად, მაპატიეთ—მითხრა იმან—უნდა... უნდა დავლიო... თქვენ, აი, იმათ ყურს ნუ უგდებთ. რამდენსაც მეტს გავუფურთხებ მაგათ მშვიდს ფიქრებს, იმდენი უფრო მაგათთვის სასარგებლო იქნება. ღვინოსაც იმიტომ ვსვამ, რომ, ვისთანაც რა სათქმელი მაქვს, გაბედულად ვუთხრა და ვისთანაც საჭიროა იარაღით გასწორება, იარაღით გავუსწორდე. როდესაც ფხიზელი ვარ, ეგენი მამცირებენ, მთვრალი—მე მაგათ ვამცირებ.

ამ დროს ლაქიამ მოიტანა კიდევ ღვინო, დადგა მაგიდაზე და თავაზიანის კილოთი მოახსენა:

—ღვინოს კი მოგართმევ, ლევან, მაგრამ საკმარისია, აღარ გინდა. ახლა წამობრძანდი, საცა გნებავს, იქ მოგასვენებ.

— ამბობს ვინმე რასმე?—ჰკითხა ყმაწვილმა და თვალებმა გაუელვეს.

— ვინ რა უნდა სთქვას? ვის რა ნება აქვს, რამე სთქვას? მარამ...

— მაშ შენი საქმე არ არის—გააქნია იმან ხელი.

ლაქია გატრიალდა.

— აი ეს კაცი—თვალი გააყოლა ლაქიას და მამიბრუნდა—კარგი ოჯახის შვილია. კარგად გონება განვითარებული, პატიოსანი, ყოჩაღი და... ლაქიად მსახურობს! რათა? იმიტომ რომ სხვა ადგილი მაგას არა აქვს? ჩვენ შეგვეძლიან ვიყოთ ვექილად, ექიმად და... ლაქიად. და, ვისაც არც ის უნდა, არც ის და არც ის, ის ლევან ფიანიძე უნდა იყოს, სხვა ჩვენ აღარაფერი დაგვრჩენია...

ამ დროს მატარებელიც მოვიდა. დარბაზში ჯგუფებად შემოვიდა მატარებლიდან გადმომხტარი ხალხი და სადილის საჭმელად მაგიდებს მოეფინა. ყველა ჩქარობდა, ერთი ერთმანეთს არ აცლიდა და ყველა ყვიროდა. ლაქიები ვერ ასწრობდნენ ყველას სურვილის დაკმაყოფილებას. მაგიდები ხალხით გაივსო.

ჩემი მობაასე ამ სცენას ჩუმად უყურებდა. სახის გამომეტყველება შეეცვალა. თვალებში იგივე სიბოროტე უელავდა. უცბად შეიფრთხიალა და თავი გვერდზე გადაიღო.—ერთი შეხედეთ აი იმას—მომკიდა ხელი და გვერდზე მიმახედა, სადაც ერთი აფიცერი ლაქიას რაღასაც უჯავრდებოდა—ერთი ყური დაუგდეთ, რა კილოთი ელაპარაკება? თითქოს ქვეყნიერება მაგისი იყოს. შეხედეთ მის სახეს,—ლოყები გაუბერია, კისრის ძარღვები ლამის არის დაუწყდეს, რაც არის და არ არის, ერთი ორად უნდა იქცეს. ლაქია კი საწყლად ბოდიშს იხდის, მზად არის სილას ლოყა მიაგებოს... რა ჰქნას?—ლაქიაა! თუ მართლა გაბრიყვდა და სილა გაარტყა, მაშინ იმან იცის, სილა რანაირი უნდა, მაგრამ სანამ სილას მიიღებდეს—ის ლაქიაა. მაგრამ ამასთან არა მაქვს საქმე, მე მინდა შემოგფიცოთ თქვენ, რომ ეგ ლაქია როგორც ჭკუითა და ზნეობით, ისე ვაჟკაცობით მაგ აფიცერზე ერთი არშინით მაღლა სდგას!

ყმაწვილი კაცი ჩაფიქრდა, ბოლოს მოავლო ისევ ჩაის ჭიქას ხელი, გაავსო და უსვენებლივ დალია.

ღვინო მეტად მოეკიდა. თვალები მიელულა და თავს ერთ ალაგას ვეღარ აჩერებდა.

— ყველანი მეჯავრებიან... ყველანი—ამბობდა ის და მე აღარ მიყურებდა—მეტადრე აი... ის.. დიდი გალსტუკი რომ აქვს... ეგ ტანისამოსი რომ გახადო და... მეეზოვეს.. ტანისამოსი ჩააცვა... ნამდვილი მეეზოვე... იქნება... не кричать!—დაუძახა ვიღასაც და ჩაჩუმა.—გიორგი!.. მოდი აქ... იცი, ეხლა რა მინდა? მინდა? რომ ამ დარბაზში... აღარავინ დარჩეს ჩემსა და... შენს მეტი!.. გესმის?.. და... არც არავინ... დარჩება ამ სიტყვებით მაგიდას ღონივრად დაჰკრა ხელი, ისე რომ ყველა ადგილზე შეხტა.

— მე დავეშურე მალე გავცლოდი, მით უმეტეს, რომ ბილეთის აღების დრო იყო.—მშვიდობით ბრძანდებოდეთ, უკაცრავად—მითხრა იმან აჩქარებით და არც კი შემომხედა, ეტყობოდა რაღასაც ჰფიქრობდა. ახლა თვალები ანთებული ჰქონდა, როგორც ვეფხვს, რომელიც ემზადება მსხვერპლის თავზე დაცემასა და გაგლეჯას.

მე გამოეთხოვე და წაველი, მაგრამ კარებთან მისვლა ვერ მოვასწარ, რომ რაღამაც საშინლად დაიჭექა. უნებურად იმ ყმაწვილისკენ მივიხედე. სკამზე გადაწოლილი იყო, რევოლვერი ხელში ეჭირა და მთლად კვამლში გახვეულიყო. ყველაფერი აირია. ყველა ზეზე წამოვარდა და ერთმანეთს ეცა. გასავლისკენ მიეშურებოდა. ერთი თვალის დახამხამებაზე დარბაზი დაიცალა. დარჩნენ მხოლოდ ლაქიები და ერთი კაცი, რომელსაც საჭმლისათვის თავი დაენებებია, გაკვირვებული შეჰყურებდა იმას, მაგრამ ადგილიდან არ იძროდა.

ყმაწვილი ამ კაცს დაკვირვებით უცქეროდა. შემდეგ რევოლვერი ნელა ასწია და სწორედ იმის თავზე ჰერს დაუმიზნა. გავარდა ერთი კიდევ რევოლვერი და ჯიუტს მიწა ზედ თავზე დაეყარა. ის წამოვარდა ზეზე, ხელები თავზე მოისვა და კარში გავარდა.

— შეგეშინდა?! გაჩერდი, თუ ბიჭი ხარ!—მიაძახა სიცილით ყმაწვილმა.

პატარა ხანს უკან დარბაზის კარი ხმაურობით გაიღო და სამი ჟანდარმი გაჩქარებით შემოვიდა. თან მოჰყვა აუარებელი ხალხი. ქალები წიწმატობდნენ, კაცები ილანძღებოდნენ. ის კი იჯდა თავის ალაგას და თავი ჩაექინდრა.

როდესაც ჟანდარმები მიუახლოვდნენ, თავი მაღლა აიღო და ზეზე წამოიწია.

— რა გინდათ? ჰკითხა იმან.

— იარაღი აიხსენით!

— მიირთვით! მხოლოდ ახლო არ მომეკაროთ... შორს!—დაუყვირა ერთს, რომელიც მიუახლოვდა და ხანჯლის შემოხსნას უპირობდა—მე თვითონ შემოვიხსნი.

იარაღი შემოიხსნა და გადასცა.

— ახლა წამოდით ოთახში, ოქმი უნდა შევადგინოთ—უთხრეს ჟანდარმებმა.

—დიდის სიამოვნებით!—სთქვა იმან და წამოიწია, მაგრამ წაბარბაცდა. ჟანდარმი სწვდა, უნდა დაეჭირა, მაგრამ ყმაწვილმა ხელი აუქნია და ფეხზე გამაგრდა.

—აბა, წავიდეთ... მაგრამ დაიცათ! გიორგი... მოდი... აქ... აქ ბევრი უსინდისო ისარგებლებს ამ არეულობით და საჭმელში ფულს არ მოგცემთ... რაც დაგაკლდეთ, მე ვარ პასუხის მგებელი.. აი, დაიჭი ფული.—ამოიღო და ლაქიას ოცდახუთმანეთიანი მისცა.—თუ არ გეყოს, მერე გაგისწორდები... აბა, წავიდეთ!.

ხალხი ორ წყებად გაიყო და შუაში ჟანდარმებმა და ყმაწვილმა კაცმა მედიდურად გაიარეს. ამ დროს მეორე ზარი დაჰკრეს და მე სიჩქაროდ ვაგონისკენ გავეშურე.

ნვ. ყიფიანი.

ქოს, იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რომ ნება მიეცეს სახალხო ლექციებისა და წარმოდგენების გამართვისა ყველა ადგილობრივ ენებზე და სახალხო ბიბლიოთეკებისა, სამკითხველოებისა, საკვირაო სკოლებისა და წიგნების საწყობების დაარსებისა, სადაც უნდა იყოს ცენზურით ნება-დართული ყველა წიგნი და პერიოდული გამოცემანი და სხვა.

სხვათა შორის, საზოგადოება სთხოვს ქალაქის საბჭოს, იშუამდგომლოს კავკასიაში საყოველთაო და უფასო სწავლის შემოღების შესახებ.

საბჭომ განიხილა ეს მოხსენება და, ცოტაოდენის კამათის შემდეგ, გადასწყვიტა, აღძრას მთავრობის წინაშე შუამდგომლობა ამ საკითხის შესახებ.

◆ ბათუმიდან გვატყობინებენ, რომ 17 მარტს, საღამოს რვა საათზე, ვიღაც უცნობს მოუკლავთ სახლში მიმავალი რკინის გზაზე მოსამსახურე შარმენ დათუშიძე. მკვლელი ვერ აღმოუჩენიათ.

რკინის გზის დაბალ მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრება.

ნავთლუღის ნაწილის რკინის გზის (ყარაიაზიდან ტფილისამდე და ნავთლუღიდან სადახლომდე) ლიანდაგის, ხიდების დარაჯები და სხვა მომუშავენი მართლა რომ აუტანელ პირობებში ცხოვრობენ. მუშაობენ დღეში 14—18 საათს, წვიმა-თოვლსა და პაპანაქება-სიცხეში, მშიერ-მწყურვალნი. თვითეულს ჯამაგირად ეძლევა 12—16 მანათამდე. ამ ფულით უნდა გამოიკვებოს თავისი თავი და შეინახოს ცოლშვილი. ბინები, მართალია, რკინის გზის ხარჯით აქვთ გამართული, მაგრამ ვაი ამ ბინებს! თვითეულ ბინაზე ცხოვრობს 15—20 კაცი, რომელთაც არც რიგიანი საწოლი აქვთ, არც თბილი წყალი საჩაიედ, არც ტანის საბანი და ბევრს ხომ ლოგინიც არ მოეპოვება, ერთად-ერთი ფარაჯა აქვს დღედამ სახმარებლად. ცხოვრების ამ უპირველეს საჭიროებათ მოკლებულ ხალხს არც ექიმი ჰყავს, რომ თავის დროზე უექიმოს, რის გამოც ხშირად ციებ-ცხელებითა და სიცხისაგან შეწუხებული წუთისოფელს ესალმება. სიცოცხლით ტანჯული ხშირად უპატრონოდ ყრილდება დაუმარხავად. დაავადმყოფებულ დღიურ მომუშავეს ავად გახდომის დღიდანვე ესპობა ჯამაგირი; თუმცა წესით წამალიც უნდა ეძლეოდეს, მაგრამ მაინც თავის დროზე არც წამალი ეძლევა და არც ექიმ-ფერშალი სინჯავს. საავადმყოფოს თუ მიმართავენ, იქაც მხოლოდ „ნიატ მესტა"-ს (გლეხების სიტყვით მოგახსენებთ) უპასუხებენ. საზოგადოდ ეს დაბალი მომუშავენი ძლიერ შეწუხებულ-შევიწროებულნი არიან. გაჭირვებამ თავისი ჰქმნა და ამიტომაც ამ მუშებმა 15—16 მარტს მუშაობას თავი გაანებეს და რკინის გზათა უფროსს წარუდგინეს თავიანთი მოთხოვნილებანი, რომელიც თორმეტი მუხლისაგან შესდგება. მოგვყავს ზოგიერთები:

1. ჯამაგირი თვეში 30 მან. დაინიშნოს.
2. დაწესდეს რვა საათის სამუშაო,—დილის 6 საათიდან—შუადღის 3 საათ.
3, მიეცეთ რკინის გზის უფასო ბილეთები ცოლშვილში წასვლა-წამოსვლის დროს.
4. დაავადმყოფებულს მეტი ყურადღება მიექცეს და წამლობის გარდა ჯამაგირიც ეძლეოდეს.
5. საცხოვრებელი ბინა გააფართოვონ, საწოლები მოუმატონ, რომ მუშებმა ბინძურ ცხოვრებას თავი დააღწიონ.
6. აბანოები გაუმართონ.
7. რკინის გზაზე მიცვალებულ მოსამსახურეს მეტი ყურადღება მიექცეს, რომ თავის დროზე დასაფლავებულ იქმნეს, თავის მიწა-წყალში წასასვენებლად ნება და ვაგონი მიეცეს.
8. დროებით სახლში დათხოვნილს თუ ერთ კვირამდე მოუგვიანდა რაიმე საპატიო მიზეზით, შეეძლოს კვლავად სამსახურში დაბრუნება.
9. რკინის გზის მუდმივ მომუშავეს წელიწადში ერთი თვე ,,ოტპუსკი'' მიეცეს და სხ.

მოსამსახურე-მუშები ამჟამად ისევ ისე გაფიცულნი არიან და უფროსის პასუხს ელიან.

ორინი.

სადღეისო

მაღალ მთას.

მთაო მაღალო! რად მრისხანებ და რად მიყურებ ეგრე წყრომით—კოპებ-შეკრული!...

რა გინდა ჩემგან, რა დაგიშავე?!.. მოგიხვეტია თავზე ღრუბელი, კუპრივით შავი, თვალიდგან ცეცხლს ისვრი და წარბები ჩამოგიყრია...

ჩემსკენ მოიწევ, შეჭმას მიქადი და ხარბად პირი მისთვის გაქვს ღია?!...

ვერ შემაშინებ!.. ცხოვრებისაგან მრავალ-ტანჯულს გული ფოლადად გადამქცევია...

დიდი ხანია მონობის უღელს ვეღარ ვიტან,—კრულვა ვუძღვენი... თავისუფალი ბუნების შვილი ქვეყნად დავდივარ მე თავისუფლად... ბოროტსა ვსდევნი, კეთილს თაყვანს ვსცემ, თანასწორობას ვეტრფიალები...

ქედს არავის ვუხრი და ფეხებს ქვეშ უსამართლოდ არავის ვეგები...

მონობის მტერი, თავისუფლების მოტრფიალე გსურს დამიმონო?

გინდა გაღმერთო, თაყვანი გცე, გადიდ-გამეფო?...

არა, ძლიერო, მრისხანეო, მაღალო მთაო! ჩემგან შენ მაგას არასოდეს არ მოელოდე!.. ნუ, ნუ მოიწევ ჩემკენ ეგრე პირდაღებული,—ვერ ჰხედავ, განა, რომ აღარ ვარ შენი მორჩილი?

ნუ მეუბნები, რომ შენს სიმაღლეს შევეუშინდე და არ ვისურვო მწვერვალზე ასვლა, ხმა ჩავიწყვიტო და წყალობას შენგან ველოდე!.. რომ გთხოვო რამე!..

რაო, შენ გთხოვო?!.. განა გლახა ვარ, მაჩანჩალა, ზნე-დაცემული, რომ სამოწყალოდ მივიდე სხვასთან, რომ დავუჩოქო და მოვთხოვო რამე წყალობა!

არა, ბოროტო და ულმობელო! მე ჩემი შრომით შევეცდები და თავს დავირჩენ და ახლა შენთან აქ მოვედი მხოლოდ იმისთვის, რომ გაგიცხადო არ მორჩილება, გაგაგებინო:

ჩემი იმედი ნუ გექნება ნუღარაფერში... ჩემის თავისა მე თვითონ ვარ ბატონ-პატრონი, ხომ გაიგონე, ხომ გაიგე, ბოროტო მთაო!?

მაშ დაიხსომე...

რაო, ამხედრდი ისევ ჩემზე, პირით ცეცხლსა ჰყრი, შეზავებულს ქვა და რკინითა, გსურს უსამართლოდ დამონებულს გამომიცხადო წყრომა და ბრაზი, შენი რისხვა, დამწვა, დამტანჯო ულმობელად და უსამართლოდ?

რისთვის? რა გიყავ?—ნუ თუ იმისთვის, რომ მოვისურვე თავისუფლება; ბუმბერაზ მთასთან, გარისხებულთან რომ ჩემი ძალა არ დავივიწყე, ნუ თუ იმისთვის, რომ მეც მრქვია ადამიანი და მთის მწვერვალზე ვისურვე ასვლა, ვისურვე მზისა, ცისა დანახვა?..

ვერ შემაშინებს, ვერ შემაკავებს შენი ცეცხლ-ფრქვევა... დაგძლევ, იცოდე!

ხომ ჰხედავ ღრუბელს, ისიც მებრძვის და მეომება და დედამიწა გულ-მოსული ფეხ-ქვეშ ირყევა... ჭექა-ქუხილი გაისმის ცაში და მთა მაღალი, ბუმბერაზი—შეშინებული.

მიწის ძირა—დაბლა, ზევით—ავდარი, ქარის ზუზუნი გამწარებული... და შენს წინაშე მეც ვდგევარ ახლა, მთაო მაღალო, განრისხებული.

იცოდე, მთაო, და გაჯერდეს მოძმის, მჭამელო, რომ ჩემი გული—ფოლადია,—ვერ ავნებს რკინა, და ჩემი ხელი, ამაღლებული, კაჟად ქცეული, განთიადისკენ ფრთა-შესხმული მიისწრაფება...

ხომ გაიგონე, რაც გითხარი, მთაო მაღალო?!. მაშ გამეცალე, ნუღარ მტანჯავ, მინდა სიცოცხლე, შენ დამწოლიხარ მძიმე ლოდად, ცასაც მიბნელებ და დაბლა მდგომსა ნათელს მისპობ...

მინდა სიცოცხლე!..

გ. ლადოშვილი.

პრესსა

„მოსკოვის უწყება" სწუხს და აცხადებს, რომ რუსეთი მის „მტრებს" ჩაუვარდა ხელში, თვით მანჯურიის ჯარს არ ასვენებენ და პროკლამაციებს გვიგზავნიანო.

„ნოვოე ვრემია"-ს კორესპონდენტი ტოლუზაკოვი, ორჯელ დაჭრილი მანჯურიაში, შემდეგ საყვედურს უგზავნის გონება-დაბნეულ რუსეთს:

„ჯარის ყურამდის მოდის იმ არეულობის ამბავი, რომელიც ეხლა სუფევს რუსეთში.

მე თვითონ ვიყავი ჯარში მაშინ, როდესაც იგი უკან იწევდა მუკდენიდან,—ამბობს ბ. ტოლუზაკოვი,—ჩემი თვალით მინახავს, რომ დაღლილ-დაქანცულს, დამარცხებით შეწუხებულ ჯარის კაცებს სამშობლოდან გამოუგზავნეს ერთად-ერთი სალამი—პროკლამაცია!.. წარმოიდგინეთ აფიცრის ან ჯარის კაცის მდგომარეობა. უკან თუ დაიხია,—ყველა გინებას უწყებს, თვალშიაც აფურთხებს. თუ დარჩა პოზიციებზე,—ურჩევენ გაიქეცი და ტყვედ წაყევი იაპონელებსო.. რა უნდა რუსეთს? თუ მართლა არ უნდა ომი და ურჩევნია სამარცხვინო ზავის მიღება,—მაშინ ხომ სულ მეტია, უსარგებლოც ომის გაგრძობა...

ის კი არ არის სირცხვილი,—ამბობს გაზეთი,—რომ რუსეთი თანახმა არის მიიღოს ზავის დამამცირებელი პირობები, მიიღოს ზავი, რომელიც სამუდამოდ მოუსპობს რუსეთს დიად სახელმწიფოს სახელს და მის განვითარებასაც მოუღებს ბოლოს,—ამნაირ ზავს არც კი დასთანხმდება რუსეთი...

სირცხვილი ის არის, განაგრძობს იგივე გაზეთი, რომ რუსეთმა თავი დაუმორჩილა შინაურ ცხოვრებაში ისეთ პირებს, რომელთაც ეჯავრებათ რუსეთი.

მანჯურიის ჯარი კითხულობს, რა უნდა რუსეთსო?

მოსკოვის გაზეთი მთელ რუსეთის მაგიერად ამაზე პასუხს იძლევა:

რუსეთს უნდა ჯარების თავის მოყრა შორეულ-აღმოსავლეთში, უნდა სრული გამარჯვება, უნდა შეირჩინოს ყველა ის მიწა, რომელიც არის საჭირო მის არსებობისთვის შემდეგში.

თვით რუსეთში გამეფებულია ამბოხება და არეულობა. ამათმა მეთაურებმა პეტერბურგის პატრონობაც ჩაიგდეს ხელში.

რუსეთის მოწინააღმდეგე ძალებმა ჩაიგდეს ხელში ჟურნალ-გაზეთობა, სასწავლებელი, სხვადასხვა საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულება: საჭიროა ამ ძალების მოსპობა,—ამბობს გაზეთი,—და შემდეგ გამარჯვებული რუსეთი ნებას აღარ მისცემს უცხო ტომის ქვეშევრდომებს, ამოიღონ ხმა და აიგდონ მასხარად რუსეთი ან და შემდეგშიაც მოიქცნენ ისე, როგორც იქცევიან ამჟამად.

ამავე აზრის არიან კიდევ სხვა, „მოსკოვის უწყების" მომხრე გაზეთები, როდესაც მოვიმაგრებთ წელს,—ჯავრს ამოვიყრით იმ სხვადასხვა ეროვნებაზე, რომელიც ამ ჟამად სარგებლობს რუსეთის გაჭირვებით და წინააღმდეგობას უწევს მთავრობას და „ნამდვილ" რუსებსო.

რუსეთი

ფინანსიურ მდგომარეობას საფრთხე მოელის. „ნოვოსტი" სწერს: „საზღვარ-გარედ ჩვენ ნდობა გვაქვს მოპოვებული, მაგრამ ამ მხრივ მეტის-მეტი გატაცება საშიშია. ჩვენი ფინანსების აწეწილ-დაწეწილი მდგომარეობა მაგ ნდობას ადვილად დაგვაკარგვინებს. მართლაც და, ჩვენი ქონებრივი ძალა არც ისე დიდია, როგორც ეს ბევრსა ჰგონია. ბიუროკრატიამ სხვადასხვანაირ სესხით აღებული ფული უგზო-უკვლოდ ფლანგა და ერის ქონებრივ ძალ-ღონეს კი ყურადღებაც არ მიაქცია. თუ მომავალშიაც ჩვენი ფინანსების ბედ-იღბალი ბიუროკრატიის ხელში იქნება, რაც დღე დაგვადგება, ყველასათვის ცხადია. საკმარისია ისიც, რომ 9 იანვარს მომხდარ ისტორიულ ამბის შემდეგ ჩვენის ახალ სახელმწიფო სესხის კურსმა შესამჩნევად დაიწია და კინაღამ სულ რუსის კაპიტალისტების ხელში არ მოგროვდა. თუ ჩვენის შინაურ პოლიტიკის „კურსი" არ შეიცვალა, ჩვენი ქაღალდების „კურსი" ძლიერ დაიწევს და ამას ის მოჰყვება, რომ საზღვარ-გარედ ნდობას ვეღარ მოვიპოვებთ, სანამ ჩვენის სახელმწიფოს წეს-წყობილება ძირიანად არ შეიცვლება". (ნოვ.)

აი, რას ღაღადებს მღვდელი მამა სოკოლოვი: „ისე აიწეწ-დაიწეწა ჩვენი შინაური ცხოვრება, რომ, მგონი, წმიდა რუსეთი თავისს დღეში ამგვარ მდგომარეობაში არ ყოფილა. ამჟამად ყველანი უკმაყოფილებას აცხადებენ, ყველაფერს უჩივიან და იმას არ ფიქრობენ, რომ ბევრის ასრულება შეუძლებელია.

იქამდის მივიდა საქმე, რომ ბავშვები მშობლებს უბრძანებენ, მოსწავლეები მასწავლებლებს, ხელქვეითნი თავის უფროსებს. ამაზე შორს წასვლა შეუძლებელია! ამას იქით—უფსკრულია გათხრილი, რომელიც მზად არის, რომ ყველაფერი ჩანთქას". გრძნობა-მორეული მღვდელი ასე ათავებს თავის წერილს: „გამოფხიზლდი, რუსეთის ერო! მოიგონე ღმერთი! მას შენი დაღუპვა არ სურს. გამოტყდი შენს ბოროტებაში და შეინანე შენი ცოდვები".

საკმარისია ითქვას, რომ მღვდლის სოკოლოვის ეს პატეტიური მოწოდება თავად მეშჩერსკის გაზეთში იყო დაბეჭდილი... (ნოვ.)

რას უნდა მოველოდეს ბეჭვდითი სიტყვა კობეკოს კომისიისაგან, ნათლადა სჩანს კომისიის ერთ გავლენიან წევრის ნალაპარაკევიდან: „მაინცადამაინც ოპტიმისტიურ მოლოდინით არ უნდა შევცქეროდეთ კომისიის მუშაობას. ჩვენში მაგისთანა კომისიები ახალი ხილი არ არის. წარსულ საუკუნიდან დაწყებული ყოველ ათ წელიწადში მაგისთანა კომისიები სდგება, მაგრამ ნაყოფი არსადა სჩანს. კობეკოს კომისიაში ატმოსფერა თანდათან იხშვება და შემავიწროებელი ხდება. ჯერ კიდევ კომისიის მუშაობის დასაწყისში ერთმა ჩემმა კეთილ-მოსურნემ ასე გამაფრთხილა: თუ გინდათ ეჭვის თვალით არ შემოგხედონ და არ გადაგემტერონ, თათბირის დროს თავი მეშჩერსკის აზრებით იხელმძღვანელეთო...

მართლაც, მე თვითონ დავრწმუნდი, რომ მხოლოდ ამ გზით შეიძლება კაცმა თავი დაიფაროს იმ მტრობისა და სიძულვილისაგან, რომლითაც დაგიწყებენ ცქერას ისინი, ვინც იქ გაგზავნეთ"... თურმე ასეთია წესი „თათბირისა": პირველი სიტყვა ეკუთვნის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელს, რომლის აზრიც საძირკვლად ედება დანარჩენთა სჯა-კამათს... (ნ.).

მ. გორკი დამნაშავის სკამზე. პეტერბურგის სამოსამართლო პალატას მოსვლია საქმე ა. პეშკოვისა (გორკი), რომელსაც ბრალდება რუსეთში არსებულ პოლიტიკურ წესწყობილების დამხობის გამოსაწვევ მოწოდების შედგენა. გორკიმ დამცველად ნაფ. ვექილი გრუზენბერგი აირჩია.

ბულიგინის კომისიაში მხოლოდ 34 ერობიან გუბერნიის წარმომადგენელნი იქნებიან მიწვეულნი. დანარჩენი კუთხიდან არც ერთ წარმომადგენელს არ მიიწვევენო (ნ.).

გაზეთ „კიევლიანინში" სწერია: „მთავრობა! ყველგან მთავრობა! ყოველთვის მთავრობა! ის არის ყველგან და ყველაფერში დამნაშავე, მხოლოდ ის და არავინ სხვა! ჰკარით იმას წიხლი, დაჰკბინეთ, დაანგრიეთ, ქვითა და ტალახით ჩაქოლეთ, მოსვენებას ნუ მისცემთ, თავს დაეცით და სცემეთ, რამდენიც შეგეძლოთ, მარტო ზარმაცი შეიცოდებს და წიხლს აღარ ჩაჰკრავს. წინ, ძმებო, წინ, უშიშრად, მედგრად შეუტიეთ მტრებს, მამაცად და შეუდრეკელის გაბედაობით დაეცით თავს, გეშინოდეთ მისი მოღვაწეობისა; გამოჰგლიჯეთ ხელიდან იარაღი და, თუ ეგ ვერ მოახერხოთ, იარაღი მიწით გაუტენეთ, რომ ვეღარაფერი შესძლოს; დაიხსომეთ ჩვენი დევიზი—ის თავის დღეში არ გვიღალატებს; რაც უნდა მოხდეს, ყოველთვის იყვირეთ: მთავრობაა დამნაშავეო!" ასე ყვირიან ყველგან დღეს ქვეყნის მტერნიო.

კორესპონდენცია

ფოთი

(კრება საქალაქო სასწავლებელში)

ყველამ შეიგნო, რომ ბიუროკრატიული რეჟიმი ახშობს და უნაყოფოდ ჰკლავს ყოველ კეთილ მისწრაფებას, და განათლებას წინ ეღობება. დიახ, საბნელის მოტრფიალე ბიუროკრატიის თავზარსა სცემს ხალხის განათლება და ის ყოველ ღონესა ხმარობს მის შესაჩერებლად. 6 მარტს, საღამოს, შეიკრიბნენ მოსწავლეთა მშობლები ადგილობრივ სამოქალაქო სკოლის დარბაზში. მათ უნდა მოესმინათ ის პასუხი, რომელიც მიიღო ბ-ნმა დ. ი. კონონოვმა (ინსპექტორია) დირექტორისაგან მოსწავლეების მოთხოვნილებებზე. ბ-ნ კონონოვმა აუწყა მშობლებს დირექტორის პასუხი: «მოსწავლეების უკანონო მოთხოვნილებებს უყურადღებოდ ვსტოვებთ და მშობლებმა მოგვმართონო». რა იყო აქ უკანონო? ის, რომ მონობის თეორიით აღზრდილ მოსწავლეებმა გაბედეს ხმის ამაღლება იმაზე, რაც მათთვის უსაჭიროესს საგანს შეადგენდა, მაგ., სწავლება ქართულ ენისა, სასწავლო ფულის გადასახადის ნახევრად შემცირება, სამღვთო-სჯულის გაკვეთილის შემოკლება, და სხვა. აი ამან დიდი მღელვარება გამოიწვია და ბევრი მწვავე მეტყველური სიტყვები წარმოითქვა. შემდეგ მშობლებმა მოსთხოვეს ბ. კონონოვს მოსწავლეებისათვის ნება მიეცა კრებას დასწრებოდნენ, რომ იმათაც თავისი აზრი გამოეთქვათ, და, აი, რა სთქვა ერთმა მოწაფემ: „დღევანდელ პირობებში შეუძლებელია სწავლის განგრძობა, რადგან ამ წმიდა ტაძარში გაბატონებულია პოლიციური დისციპლინა და ჩვენ გვზრდიან მონებად, გვქმნიან მანქანებად და არა ადამიანებად. ამისთვის ვუერთდებით მთელის რუსეთის მოსწავლე ახალგაზრდობას, რომლებმაც უარყვეს ამ სულის შემხუთველ ატმოსფერაში სწავლის განგრძობა და, ვიდრე ისინი არ დაუბრუნდებიან სასწავლებლებს, არც ჩვენ შევუდგებით სწავლასო, ე. ი. სანამ არ შეიცვლება დღევანდელი რეჟიმიო». აღტაცებული ტაშის-კვრა გამოიწვია ამ მოწაფის გულის სიღრმიდან ამოხეთქილმა სიტყვებმა. ბოლოს კრებამ დაადგინა მშობლების სახელით წარადგინოს, სადაც ჯერ არს, იგივე მოთხოვნილებანი.

ბ. პელაშვილი.

P. S. 7 ამ თვეს ქალების სასწავლებელშიაც მოწაფეებმა სწავლა შესწყვიტეს.

ვ. ხ.

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

18 მარტი.

პეტერბურგი. ოფიციალური ცნობა შორეულ აღმოსავლეთიდან 17 მარტს არ მოსულა.

პეტერბურგი. უქვეშევრდომილესი დეპეშა გენერალ ლინევიჩსა 17 მარტის თარიღით: „ღამე ლაშქრებმა მოსვენებით გაატარეს, ცვლილება არ არის რკინის გზის აღმოსავლეთად მტრის მხედრობას მოძრაობა ეტყობა. წუხელ თოვლი დასდო. ქარი ჩაყუჩდა".

პეტერბურგი, 18 მარტი. სიბირის პირველ კორპუსის კომანდერი შტაკელბერგი და მთავარ-სარდლის შტაბის უფროსი [illegible] დაჭრილთა კომიტეტის წევრებად დაინიშნენ, მანჯურიის პირველ ლაშქრის შტაბის უფროსი ხარკევიჩი—მთავარ-სარდლის შტაბის უფროსად.

ტოკიო, 17 მარტი. დიდი მითქმა-მოთქმაა ზავის შესახებ, ხოლო მთავრობანი და ხალხნი ომის მიმდინარეობას წინანდებულად ეპყრობიან. პრესსა ამტკიცებს, იაპონიას განზრახვა აქვს ისევ ენერგიულად განაგრძოს ომი. ჯარი და ფლოტი ემზადებიან რამდენისამე წლის ომისათვის. ჯარი განუწყვეტლივ იგზავნება ომის ველისკენ, ჩრდილო-მანჯურიაში გზებს აკეთებენ. რუსები ტუმენის ჩრდილოეთად მაგრდებიან, აგრეთვე ხუნშუნისა და ნინგუტის ახლო, რკინის გზასთან.

სახალინი, 17 მარტი. მშვიდობიანობაა, თბილა. თოვლს იღებს. ნავთ-სადგურზე ყინულია. ფოსტის მიმოსვლა ისპობა.

პეტერბურგი, 17 მარტი. ოფიციალურად. მისმა იმპერატორებითმა უდიდებულესობამ ამ წლის 18 თებერვლის რესკრიპტით კეთილ-ინება დაარსდეს, შინაგან საქმეთა მინისტრის თავმჯდომარეობით, განსაკუთრებული საბჭო და მოწვეულ იქმნენ ღირსეულნი, ხალხის ნდობითა და ხალხის მიერვე არჩეულნი პირნი საკანონმდებლო განზრახულებათა შესამუშავებლად. ამ უმაღლეს სურვილის აღსასრულებლად, საბჭოს თავმჯდომარე დაუყოვნებლივ შეუდგა იმ მასალის შეკრებასა და შემუშავებას, რომელიც სამინისტროში მოიპოვებოდა. მეტად რთული საქმე და უმაღლეს რესკრიპტით დავალებული საფრთხილე აიძულებდა შინაგან საქმეთა მინისტრს განსაკუთრებულის ყურადღებით შემზადებინა საბჭოს-მიერ განსახილველი საქმეები. ამ მხრივ არ შეიძლებოდა არ შეენიშნულიყო, რომ სხვადასხვა პირთა და უწყებათაგან წარდგენილი პროექტები მრავალ გვარია და ერთი ერთმანეთისაგან ბევრად განსხვავდებიან. ამასთანა შეუმუშავებელი მასალა საბჭოს შრომას გაამნელებდა და შეაფერხებდა. საქმის ამგვარად დაყენება მით უფრო მოუხერხებელი იქმნებოდა, რომ თვისება იმ საქმისა, რომელიც დავალებული აქვს საბჭოს, და ჩვენის სამშობლოს ადგილობრივ საჭიროებათა სხვადასხვაობა მოითხოვს, რომ მოწვეულ იქმნენ არა მარტო უწყებათა წარმომადგენელნი და მაღალ თანამდებობის მოხელენი, არამედ ისეთი პირნიც, რომლებმაც თავი ასახელეს ცოდნითა და მოქმედებით სხვადასხვა ასპარეზზე და ადგილობრივი საჭიროებანი უკეთ იციან. ამიტომ საბჭო ძალა-უნებურად მრავალფეროვანი იქმნება. ამის გამო სამინისტრო იმავე დროს, როდესაც მასალებს აგროვებს, შეუდგა აგრეთვე იმ მოსაზრებათა გამორკვევას, რომლებიც საძირკვლად უნდა დაედოს უმაღლესად განზრახულ წარმომადგენელთა მოწვევის საქმეს, და თვისი მოსაზრება წარუდგინა მინისტრთა რჩევას, რათა მთავრობამ შეთანხმებული გეგმა იქონიოს, და მის განსახილველად მხოლოდ შემდეგ მოიწვიოს საგანგებო საბჭო. საქმის ამნაირ დაყენებით შესამზადებელი შრომა, რომელიც მეტად რთულია და მრავალ ცნობების შეკრებას ითხოვს, შესაძლოა, ორ-სამის თვის განმავლობაში დასრულდეს და როგორც სახელმწიფოს, ისე ადგილობრივ საჭიროებათა მოთხოვნილებანი შეთანხმებულ იქმნენ. ესეთი თავისი მოსაზრება შინაგან საქმეთა მინისტრმა მის იმპერატორებით უდიდებულესობას წარუდგინა და ხელმწიფე იმპერატორმა 16 მარტს კეთილ-ინება მისი მოწონება.

პეტერბურგი. უმაღლესის რესკრიპტით, დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე დაინიშნა თავმჯდომარედ იმპერატორ ალექსანდრე III ძეგლის ამშენებელ კომიტეტისა მოსკოვში.

სტამბოლი. პორტა მოხსენებას ამზადებს უცხო სახელმწიფოებისათვის, რომელშიაც ბულგარიის მთავრობას აბრალებს, რომ დახმარებას აძლევს აჯანყებულთა დასებს, რომლებიც მაკედონიაში [illegible] გენ და ხოცვენ. მოხსენება იმ ქაღალდებით იქმნება დასაბუთებული, რომლებიც უპოვეს ეხლახან მოკლულს აჯანყებულთა წინამძღოლს აპოსტოლს.

ლონდონი. გაზეთები იხსენებენ, რომ პირველად იმპერატორმა ვილჰელმმა მიაქცია ყურადღება „ყვითელთა საშიშ"-ოს, და ამბობენ, მაროკოშიც „მაჰმადიანთა საშიშა" არსებობსო.

სოხუმი. იმ ამბავის გამო, ვითომც სოხუმის ოლქის უფროსის მოკვლა უნდოდათო, გამოირკვა, რომ უფროსს ორი საეჭვო კაცი შეუნიშნავს და მათი დაჭერა უბძანებია; იმათ მხოლოდ დარაჯისთვის უსროლიათ.

სტამბოლი. კრიტიდან იუწყებიან, სახელმწიფოების მუქარამ, ჯარს შემოყვანით დასამშვიდებლად, საქმე უფრო გაამწვავა. ჟანდარმები იძულებული იყვნენ ლაკკოსი მიეტოვებინათ, რომლებსაც აჯანყებულებმა ალყა შემოარტყეს.

ნეაპოლი. გერმანიის იმპერატორი და იტალიის მეფე 24 მარტს ინახულებენ ერთმანეთს.

კოვნა: გუბერნატორისაგან მოწვეულ ფაბრიკანტების კრებაზე გამოირკვა, რომ ხელფასი მოუმატებიათ ყველა მუშების 73%-თვის და სამუშაო დრო შეუმცირებიათ 5½ საათით კვირაში 79%-თვის. განზრახულია, დახმარება აღმოუჩინონ მომუშავეთა ოჯახობას ავადმყოფობის დროს, დაარსონ სკოლები, ბიბლიოთეკები და სასადილოები, ურთიერთ დამხმარებელი კასსები, ფაბრიკანტების მონაწილეობით, რომლებიც იმდენსავე შეიტანენ, რამდენსაც ყველა მუშები ერთად; განზრახულია აგრეთვე დაარსდეს კოვნაში სამედიატორო სასამართლო ფაბრიკანტებისა და მომუშავეთა უთანხმოების გასარჩევად.

კაზანი. გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრებამ კომისიას მიანდო იმ საკითხთა შემუშავება, რომლებიც 18 თებერვლის ბრძანებასთან დაკავშირებულია. მცოდნე პირთა შორის კომისიამ მოიწვია უნივერსიტეტის პროფესორებიც.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

გამოსადეგი ცნობანი

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერ-ტეროვისა. გამგე ექიმი იგიტიანცი.

კუკიისა. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი კ. გელიშვილი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტატეოსიანცი.

დიდუბის განყოფილება. ექ. შჩერბინა.

თვალის სამკურნალო. კრილოვის ქუჩა, ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისის ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელქიანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი



მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი
,,ოდონტინი'' მ. ვ. ლებედევისა

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენსამე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული, № 22473.

იყიდება ტფილისში—სააფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

(0—6.—2)

ლაგოდეხიდან, ამხანაგობის „შრომის'' (კ. აფრიკიანის) **სანერგეებიდან**, ჩამოტანილია 1—3 წლის **ხეხილები** და სხვადასხვა ჯიშის **ხეხილის ნერგები.** იყიდება ტფილისსა და გორში. მსურველთ მიჰმართონ: ტფილისში—,,მელიქ ბახტამიანცისა და ამხ.''-ის მაღაზიას, პუშკინის ქუჩაზე, გორში,—კ. აფრიკიანს. (6—4)

Какао
Ванъ Гутенъ
Н.НИКОЛЬСКІЙ МОСКВА

მრთი ფინჯანი
ვან-გუტენის
კაკაოსი
ძლიერ კარგი
და ადვილად
მოსანელებელი
საუზმეა
Фабриканты
C. J. van Houten & Zoon,
Weesp (Голландія)
(4—მეტ.—2)

Дозволено цензурою, Тифлисъ, 18 марта 1905 г.
ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა" ფრეილინის ქ. № 5.